შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25 (9.639)

12-19 ივლისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

არჩევნების მეორე ტური ჩატარდა

12 ივლისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური გაიმართა. არჩევნების შედეგად საქართველოში 13 გამგებელს და რვა მერს აირჩევენ. საარჩევნო პროცესს მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აკვირდებიან. საკუთარი არჩევანი უკვე გააკეთეს ქვეყნის პირველმა პირებმა და განცხადებებიც გააკეთეს.

„ხმა მივეცი იმას, რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში დასრულდეს საბოტაჟი, კოჰაბიტაცია და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება," - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხმის მიცემის შემდეგ განაცხადა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში პრემიერმა აღნიშნა, არჩევნების მეორე ტურის გამართვა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიის განვითარებისთვის.

"პირველ რიგში მინდა, მოგილოცოთ ყველას, რომ საქართველოში პირველად არჩევნების მეორე ტური იმართება. მეორე ტურის გამართვით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ რეალურად ვართ მოწოდებული, რეალური დემოკრატია ავაშენოთ ჩვენს ქვეყანაში და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველგან ვლიდერობთ და ყველგან გავიმარჯვებთ. დღეს დასრულდება არჩევნები და საბოლოო შედეგებს გავიგებთ, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, რომ ქვეყანამ გაიმარჯვოს. ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს მომავალი განვითარებაა", - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, მან ხმა მისცა ქვეყნის განვითარებას და ხალხის მშვიდობას, სტაბილურობას.

საარჩევნო უბანში მისვლით ვემსახურებით არა პოლიტიკოსებს, არამედ სამშობლოს, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ხმის მიცემის შემდეგ განაცხადა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, თვითმმართველობა უმნიშვნელოვანესი ფორმაა დემოკრატიის, როდესაც ხალხი რეალურად მართავს თავის ცხოვრებას, ქალაქის, სოფლის, დაბის დონეზე.

"ჩვენ დღეს მივეცით ხმა ახალი თვიმმართველობის ჩამოყალიბებას საქართველოში", - განაცხადა მარგველაშვილმა.

ამასთან, პრეზიდენტმა ამომრჩევლებს აქტიურობისკენ მოუწოდა. "დღეს საარჩევნო უბანში მისვლით ჩვენ ვემსახურებით არა პოლიტიკოსებს, არამედ ვემსახურებით ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ქვეყანას. ჩვენ არა პოლიტიკოსებისთვის ვაკეთებთ არჩევანს, არამედ ვქირაობთ პოლიტიკოსებს იმისთვის, რომ ჩვენ გვემსახურონ. შესაბამისად, მოგიწოდებთ ყველას აქტიურობისკენ", - დასძინა გიორგი მარგველაშვილმა.

ქოჩების ტბასთან მისასვლელი 5 კილომეტრიანი გზა მოასფალტდება

გასულ წელს ჩატარებული დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შემდეგ, ზაფხულის სეზონის დაწყებასთან ერთად კვლავ განახლდა და გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ ეტაპზე ჩვენს რაიონში ხუთზე მეტი კერძო კომპანიაა შემოსული, რომლებმაც ტენდერის შედეგად მოიპოვეს სამუშაოების შესრულების უფლება. ზოგან დაგეგმილი პროექტების განხორციელება დასასრულს უახლოვდება, ზოგან კი გადამწყვეტ ფაზაშია შესული მუშაობა. შპს „გეოინჟინერინგი", შპს „ტექნოსერვისი1". შპს „ბაკა", შპს „მათე" და შპს „XXI საუკუნე" – ეს იმ კომპანიების ჩამონათვალია, რომლებიც ჩვენი რაიონის და სოფლების ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში აქტიურად არიან ჩართული. ასფალტი იგება ქოჩების ტბასთან მისასვლელ 4,5 კილომეტრიან გზაზე. რეგიონული დაფინანსებით დაიწყო და ასფალტის საფარით იფარება ხევსურების უბნის ოთხი ქუჩა, ადგილობრივი ბიუჯეტით ხორციელდება მეგობრობის და თავისუფლების ქუჩებთან დამაკავშირებელი გზების შეკეთება, უფრო დაწვრილებით ამ და სხვა სამუშაოების შესახებ „შირაქი" მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ინფრასტრუქტურის დარგში სოლომონ ღორაშვილს ესაუბრა.

- ბატონო სოლომონ, ვხედავთ, რომ სოფლებში და რაიონის ტერიტორიაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ზოგან გზას აგებენ, ზოგან მინი სპორტული მოედნები ეწყობა, ზოგიერთგან კი ორგანიზაციების შენობა- ნაგებობები კეთილეწყობა. უფრო დაწვრილებით კი თქვენგან გვინდა ზუსტი ინფორმაცია მოვისმინოთ, კონკრეტულად რომელ უბანში და სად, რა პროექტები ხორციელდება?

- პირველ რიგში მოაგზსენებთ, რომ სოფლის დახმარების პროგრამით ვახორციელებთ იმ პროექტებს, რაც სოფლებში თავად ხალხმა დაასახელა პრიორიტეტულად. მაგალითად, სოფელ ზემო მაჩხაანში სოფელში არსებული წყალმომარაგების შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ცენტრალურ რეზერვუარზე დაერთების სამუშაოები მიმდინარეობს, ამ სოფელში კომპანია „გეოინჟინერინგი"ახორციელებს სამუშაოებს, რომელიც აგვისტოს თვეში უნდა დასრულდეს. სოფელ მირზაანში რამდენიმე უბნის გარეგანათება მოეწყობა. სოფელ არბოშიკში „უთრუთაანთ უბანში", „გზირიანთ უბანში" და „გოგაანთ უბანში" გარეგანათება მოეწყობა, ხოლო სოფელში არსებულ ბაგა-ბაღის შენობას ნაწილობრივ რეაბილიოტაცია ჩაუტარდება, არბოშიკში სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ტექნოსერვისი 1" ჩაატარებს.

სოფელ ოზაანში ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების მონტაჟი, გაზიფიცირება და გამათბობლის შეძენა- მონტაჟი მიმდინარეოვბს, ასევე კარ-ფანჯრები შეიცვლება ამ სოფლის საბავშვო ბაღის მეორე სართულზეც. აქ კომპანია შპს „ბაკა" მუშაობს და სამუშაოები სექტემბრისთვის დასრულდება.

– ძალიან რთული მდგომარეობაა ოზაანის თემში შემავალ სოფელ თავწყაროზე, სადაც წლებია, ახალგაზრდა თაობის მკვეთრი მიგრაციაა დაწყებული,

(გაგრძელება გვ.4)

იოლი ფულის ძვირი ფასი

გვ. 6

ნინო ჩხობაძის რეკომენდაციები დედოფლისწყაროს ახლადარჩეულ საკრებულოს და გამგებელს

გვ. 3

როცა ადამიანმა თავისი საქმე იცის და უყვარს

გვ. 7

ამერიკული შთაბეჭდილებები ქართულად

გვ. 5

C M Y K

წიგნის პრეზენტაცია ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომრის ვანო ნატროშვილის პატრონტაჟით თბილისის ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში (ბაქრაძის ქ. N10) გაიმართა უნიკალური სოპრანოსა და საზოგადო მოღვაწის მაია თომაძისადმი მიძღვნილი წიგნის–„მაია თომაძე“ პრეზენტაცია, რომელიც მისი დაბადებიდან მე-60 წლისთავის მიეძღვნა.

შემდგენელი გახლავთ ლეილა კვირიკაშვილი, რედაქტორი ლამარა თელია. წიგნში წარმოდგენილია მისი კოლეგების და უცხოეთის პრესაში გამოყენებული შთაბეჭდილებები მაია თომაძის ფენომენის შესახებ.

პროექტის ინიციატორმა და ორგანიზატორმა, მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ ვრცლად ისაუბრა ცნობილი მომღერლის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე.

მაია თომაძე დაიბადა 1954 წლის 26 ივნისს, თბილისში, კომპოზიტორ ნათელა სვანიძისა და მომღერალ პეტრე თომაძის მუსიკალურ ოჯახში.

1976 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი პროფესორ გულნარა ქართველიშვილის კლასით და იმავე წელს ჩაირიცხა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასში, სადაც მისი დებიუტი შედგა ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ ეთერის პარტიის ბრწყინვალე შესრულებით. ამ პარტიით მაია თომაძეს მიენიჭა პრემია წლის საუკეთესო როლისათვის.

1979-1983 წლებში სტაჟირება გაიარა მოსკოვის დიდ თეატრში. წარმატებით განასახიერა ტატიანა ლარინა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“) ნატაშა როსტოვა (პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“) ჩიო-ჩიო-სანი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“) იოლანტა (ჩაიკოვსკის „იოლანტა“) ლიზა (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“).

1983-1989 წლებში იგი მოღვაწეობს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე და მთავარი პარტიების ბრწყინვალე შესრულებით საქართველოს სახალხო არტისტის და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. 1986 წელს მაია თომაძემ ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გამართულ ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე, იგი პირველი პრემიის ლაურეატი და გრან-პრის მფლობელი გახდა.

მას წარმატებული გასტროლი ჰქონდა რუსეთში, ავსტრიაში , შვეიცარიაში, ფილიპინებზე, თურქეთში, ფინეთში. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მისი რეპერტუარი და სოლო კონცერტები.

1990 წელს მაია თომაძე აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად და მას წილად ხვდა პატივი, ხელი მოეწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღგდენის აქტზე.

1994 წლის 26 ივნისს, თავის დაბადების დღეზე, ბათუმის ოპერის თეატრის სცენაზე ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ ეთერის პარტიის შესრულებით მაია თომაძემ დაასრულა თავისი მოღვაწეობა საოპერო სცენაზე და ამავე წლის 18 დეკემბერს განერიდა იგი წუთისოფელს. იგი ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენეს ეთერის ძვირფასი კაბით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი თენგიზ თომაძე, ოპერის დირიჟორი რევაზ ტაკიძე, მწიგნობართა ასოციაციის წევრები: მანანა თურქაძე, ნანა საბანაძე, ქეთი მხეიძე , მერაბ რობიტაშვილი, მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი თამრიკო წულუკიძე, მან დიდი მადლობა გადაუხადა და იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ გადასცა საჩუქრად პროექტის ორგანიზატორებს ვანო ნატროშვილს და ნანა ჭიჭინაძეს იმისათვის რომ წიგნის „მაია თომაძე“ პრეზენტაცია სწორედ ფალიაშვილის მუზეუმში გაიმართა, მაიას დებიუტი ხომ ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ ეთერის პარტიით შედგა. იმავე საღამოს, 26 ივნისს, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ოპერა „აბესალომ და ეთერის“ სპეციალური მოწვევით ესწრებოდნენ დედოფლისწყაროელი სტუმრები: მარინა ღვინიაშვილი, თამრიკო ჯანიაშვილი, ლენა ღარიბაშვილი, ნანული ნატროშვილი.

კომენტარი ვთხოვეთ გამგეობის კულტურის სამხურის სპეციალისტს, მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის წევრს, ქალბატონ ნანული ნატროშვილს: - ბედნიერება გვხვდა წილად ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დავსწრებოდით, ყოველთვის მწამდა, რომ ისეთი მასშტაბური მონაცემების მომღერალი, როგორიც თემურ გუგუშვილი, მაყვალა ასპანიძე და სულხან გველესინი არიან, ფურორს მოახდენდნენ სცენაზე. ბრწყინვალედ იდირიჟორა დავით მუქერიამ. ოპერის სიმფონიური ორკესტრის ჟღერადობა მსოფლიოს ნებისმიერ ოპერის პრესტიჟულ სცენას დაამშვენებდა. ფეხზე ამდგარი მსმენელი ხანგრძლივი ოვაციით და ბრავოს შეძახილით გამოხატავდა დადებით ოვაციას.

ოპერის 162-ე თეატრალური სეზონის დახურვა „აბესალომ და ეთერ“-ით სიმბოლურად დაემთხვა მაია თომაძის საიუბილეო თარის, რომლის ნათელი ხსოვნაც ლაიტმოტივად გასდევდა მთელი სპექტაკლის მსვლელობას.

ედუარდ შევარდნაძე გარდაიცვალა

86 წლის ასაკში, საქართველოს ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გარდაიცვალა. აქედანვე ცნობილია, რომ მასზე ძალიან ბევრი რამ დაიწერება, როგორც საქართველოში, ასე მსოფლიოში, რადგან არაერთხელ მოგვისმენია, - უცხო ქვეყნებს ბევრად მეტი სიკეთე გაუკეთა, ვიდრე საკუთარ სამშობლოსო. რა წვლილი მიუძღვის მას საქართველოსა და ქართველი საზოგადოების წინაშე, ამის ყველაზე კარგი მსაჯული ისტორია იქნება...

ახლა კი მას უცხოელი და ქართველი მეგობრები და ახლობლები იხსენებენ.

“ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით და ეს მეგობრობა ბოლო დღემდე გრძელდებოდა. მისთვის და ჩემთვის ამ რთულ წლებშიც კი კონტაქტს ვინარჩუნებდით და თანადგომას ვუცხადებდით ერთმანეთს. შევარდნაძე მართლაც ნიჭიერი და არაორდინარული პიროვნება იყო, ნიჭიერი პოლიტიკოსი... მან უდიდესი როლი შეასრულა გერმანიის გაერთიანებაში, საერთოდ ევროპულ საქმეებში, ჩვენს ურთიერთობაში ჩინეთთან და ამერიკასთან დიალოგში”, - განაცხადა მიხეილ გორბაჩოვმა ტელეკომპანია “დოუდთან” საუბრისას.

კითხვაზე, თუ რას უპასუხებდა ის ადამიანებს, ვინც ედუარდ შევარდნაძეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაკარგვაში ადანაშაულებს, მიხეილ გორბაჩოვმა უპასუხა, რომ ამ ადამიანებმა, უბრალოდ, ისტორია უნდა იცოდნენ...

მარინა დავითაშვილი, ექსპრეზიდენტის თანაშემწე:

- ძალიან ბედნიერი და ამაყი იყო 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის დღეს და მიუხედავად, იმისა, რომ ძალიან სუსტად იყო, ყველანი, დაცვის სამსახური, მომსახურე პერსონალი, ოჯახის წევრები თავისი საავტორო წიგნებით დაგვასაჩუქრა... ბედნიერი ვარ, რომ ამ ისტორიულ თარიღს მოესწრო...

კობა ნარჩემაშვილი, ედუარდ შევარდნაძის მთავრობის შს მინისტრი:

- ეს იყო უაღრესად სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, თავის ქვეყნისა და ხალხის მოყვარული ადამიანი. ამის მიუხედავად, ძალიან უბრალო იყო ურთიერთობაში და თავისი ცნობილი ენამოსწრებულობითა და იუმორით, ყველანაირი უხერხულობის მოხსნას შეეცდებოდა, რაც ახალგაზრდობით ან გამოუცდელობით შეიძლებოდა დაგმართნოდა. ძალიან უყვარდა მოსმენა, არასდროს შეგაწყვეტინებდა და ბოლომდე მოგისმენდა. ჩემი აზრით, იდეალური ხელმძღვანელი იყო. როგორც აღვნიშნე, საოცრად კარგი იუმორი ჰქონდა და დროული ხუმრობა იცოდა.

ახლა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატია და როგორც კი მისი გარდაცვალების შესახებ გავიგე, მაშინვე ეს ამბავი გამახსენდა, - 2002 წელსაც მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა და მუდმივად მირეკავდა, რა ხდება, კობა, როგორ თამაშია, ღირს ყურებაო?.. ამაზე ბევრს ვხუმრობდით, საერთოდ, ყველა თემაზე შეეძლო ხუმრობა.

- თავად რომელ გუნდს გულშემატკივრობდა?..

- ბრაზილიას. არაერთხელ უთქვამს, რომ ძალიან უყვარდა ეს გუნდი.....ერთხელ, ახალი დანიშნული ვიყავი შს მინისტრად, თურქეთში ვიყავით ვიზიტით და იქიდან თვითფრინავით ვბრუნდებოდით. სანამ თბილისის აეროპორტში დავვჯდებოდით, დამიძახა და მთხოვა, - კობა, შემოდი, ჩემთან სალონში, რაღაცეებზე უნდა გესაუბროო. ცუდი ამინდი იყო. შევედი თუ არა მასთან, იმ წამს, თვითფრინავს მეხი დაეცა. რა თქმა უნდა, შემეშინდა. ისეთი ხმა იყო, აქეთ-იქით მიმოვიხედე, რა მოხდა-მეთქი. მას წარბიც არ შეუხრია, - ნუ გეშინია, კობა, არაფერი მოგვივაო, მითხრა ღიმილით და მივხვდი, რომ მართლაც ძალიან გაბედული ადამიანი იყო.

უამრავი პოლიტიკოსი ჰყოლია და ჰყავს საქართველოს, იმ რანგის დიპლომატი - მის გარდა, არავინ.

- თქვენ ერთადერთი ადამიანი იყავით, ვინც შევარდნაძის ხელისუფლების ბოლომდე ერთგული დარჩა. ბევრმა ეს მაშინ პოლიტიკურ სიბეცედ და ადამიანური სისუსტის გამოხატულებად შეაფასა...

- დიახ და ეს არასდროს, ერთი წუთითაც არ მინანია. ახლა რომ ვფიქრობ იმ დროზე, დარწმუნებული ვარ, ზუსტად იგივეს გავაკეთებდი, თუნდაც იმიტომ, რომ კარგად ვიცოდი, რა გუნდიც მოდიოდა ქვეყნის სათავეში... მას შემდეგ, მე და ბატონი ედუარდი მხოლოდ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს და ვისაუბრეთ, მაგრამ პოლიტიკა არც გვიხსენებია...

ედუარდ შევარდნაძის სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში 12 ივლისს გაიმართა. ედუარდ შევარდნაძეს 13 ივლისს კრწანისის რეზიდენციის ეზოში მეუღლის გვერდით დაკრძალავენ

წარმატებები სანდაში

ამ დღეებში კუნფუს (ლაგოდეხის) რეგიონალური ფედერაციის გუნდმა ჩაატარა შეჯიბრი კახეთის პირველობაზე, სადაც რვა სხვა გუნდთან ერთად მონაწეული იყო საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის გუნდი 5 კაცის შემადგენლობით.

შეჯიბრი გაიმართა სანდაში, სადაც ჩვენმა გუნდმა 5-დან სამი პირველი ადგილი აიღო. გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ:

I ადგილი- ბონდარენკო ვოვა-9 წლის ,28 კგ.

I ადგილი- ქადაგიშვილი რევაზი- 11წლის, 39 კგ.

I ადგილი- გოგაშვილი ზურა -13 წლის, 54 კგ.

II ადგილი- გავაშელიშვილი ოთარ- 12წლის, 52კგ.

მეხუთე წევრი ვასილ ჩივაძე, რომელსაც გამარჯვება გარანტირებული ჰქონდა, შემთხვევითი ტრავმის გამო გაეთიშა თამაშს.

გუნდი სრული მობილიზებით იყო მომზადებული და ბათუმის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა, სადაც წინასწარი მონაცემების მიხედვით, გამარჯვება უნდა მოეპოვებინათ, სამწუხაროდ, ტექნიკური შეფერხებების გამო დროულად ვერ დაფინანსდა, რაც ნამდვილად ნეგატიურად აისახება, როგორც გუნდის წევრებზე, ისე რაონის წარმატებებზე. ამიტომ, ფედერაციის ხელმძღვანელობა რაიონის მოსახლეობისა და ხელმძღვანელობისგან დროულ და სწორად გამოჩენილ ყურადღებას მოითხოვს. გუნდის ხელმძღვანელია მიხეილ სეხნიაშვილი

საერთაშორისო კონფერენცია აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში

აღმოსავლეთ პარტნიორობის და ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა (EaPTC) ექვსი ქვეყნის მონაწილეობით, აქტიურ ფაზაში შევიდა. 4 ივლისს ქართულმა მხარემ სასტუმრო ,,თბილისი მერიოტში“ პროგრამაში ჩართული ქვეყნების: უკრაინა, მოლდოვა,ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთის დელეგაციებს უმასპინძლა. კონფერენციის ორგანიზატორი გახლდათ უკრაინის ოფისის წარმომადგენელი მარიანა შიპიში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან კონფერენციაზე მიწვეულები იყვნენ: მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, ანა ბენაშვილი.

კონფერენცია გახსნა მოდერატორმა, პროგრამის EaPTC ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ალექსეი სეკარევმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ : საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში მარიამ რაქვიაშვილი და საქართველოში ევროკავშირის EaPTC-ის წარმომადგენლობის პირველი მდივანი, პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე შტეფან შტორკი. პლენარულ სხდომაზე მანვე ისაუბრა პროგრამის EaPTC ევროპულ სტრატეგიაზე. სხდომაზე, ასევე,სიტყვით გამოვიდნენ: პროგრამის მოდერატორი- კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის წარმომადგენელი თეიმურაზ თორდინავა, პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, კოორდინატორი ალექსეი სეკარევი, ადმინისტრაციული პროგრამების ხელმძღვანელი შტეფან ელზინგი და EaPTC -ის შესაძლებლობების განვითარების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ექსპერტი ლიუბოვ პალივოდა.

მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების სიტყვით გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებისთვის გაიმართა პრესკონფერენცია.

დღის მეორე ნახევარში, სადილის შემდეგ, მოსაზღვრე ქვეყნების ჯგუფებმა ცალ-ცალკე გამართეს შეხვედრა და დაგეგმეს თავიანთი ჯგუფების სამომავლო საქმიანობები. საქართველო- აზერბაიჯანის ჯგუფის წარმომადგენლებს, რომელთა შორის დედოფლისწყაროს წარმომადგენელი ანა ბენაშვილიც იყო, პროგრამის მიზნებსა და პერსპექტივებზე ესაუბრა და მხარეებს სხვადასხვა საკითხები გააცნო აღნიშნული ჯგუფის მოდერატორმა ერიკას იანკაუსკასმა.

შეხვედრაზე გამოიკვეთა ქართულ-აზერბაიჯანული მხარეების კიდევ ერთი შეხვედრის აუცილებლობა სამუშაო ფორმატში, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბერში გაიმართება. მანამდე კი მხარეებმა ერთობლივ საპროექტო წინადადებებზე უნდა იფიქრონ.

დასკვნითი სესიის შემდეგ პროგრამის მონაწილეები ფუნიკულიორზე , სპეციალურ ვახშამზე მიიწვიეს. 5 ივლისს კი სტუმრებმა, კულტურული პროგრამის ფარგლებში, თბილისის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერეს, მოინახულეს ქალაქი მცხეთა, ეწვივნენ ჯვრის მონასტერს და სვეტიცხოველს.

ნინო ჩხობაძის რეკომენდაციები დედოფლისწყაროს ახლადარჩეულ საკრებულოს და გამგებელს

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, ამჟამად „მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე გაუდაბნოების პროცესების შესანელებლად დედოფლისწყაროელებს რეკომენდაციებით მიმართავს. ჩხობაძე იმედს გამოთქვამს, რომ დედოფლისწყაროს ახლადარჩეულ ხელისუფლებასაც გაა ზრებული ექნება ამ საკითხების მნიშვნელობა და ამ მიმართულებით აქტიურად იმუშავებენ.

გაუქმდება თუ არა დედოფლისწყაროს მთავარი ნაგავსაყრელი და რა გეგმები აქვს სახელმწიფოს ამ კუთხით. რას გეგმავს რეგიონული განვითარების სამინისტროში შემნილი „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ დედოფლისწყაროში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის კუთხით. „შირაქმა“ ამ და სხვა საინტერესო თემებზე შესაბამისი სპეციალისტების კომენტარების მოპოვება შეძლო.

კლიმატის ცვლილება და გარემოსდაცვითი ღონისძიებები დედოფლისწყაროსთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რადგან გაუდაბნოების პროცერსი ყველაზე მძაფრად სწორედ დედოფლისწყაროში შეინიშნება. ამავე მიზეზის გამო მარცვლეულის არცთუ სახარბიელო მოსავალი აქვთ დედოფლისწყაროელ მიწათმოქმედებს. შირაქის ველებზე ალოობის პროცესი თითქმის ჩამთავრდა, თუმცა ზოგჯერ მიწის ნაკვეთებში იმდენად დაბალი მოსავლიანობაა, მეპატრონეები მის მომკას არც აპირებენ.

რა ნაბიჯები უნდა გადადგას თითოეულმა დედოფლისწყაროელმა კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად და რამდენად მნიშვნელოვანია გარემოს დაცვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან.

აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედ ჟურნალისტებს ლაგოდეხში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თემაზე სამდღიანი მედიასემინარი ჩაუტარდათ. მათ შორის გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლებიც ვიყავით.

ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები“, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებს პროექტს - „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“.

შეხვედრა გახსნა პროექტის მენეჯერმა ნინო ჩხობაძემ, რომელმაც საქართველოში არსებული ნარჩენების პრობლემისა და მისი დარეგულირების მექანიზმების შემუშავების აუცილებლობაზე. ახლადშექმნილი სამსახურის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია წარმოადგინა „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ წარმომადგენელმა გიორგი შუხოშვილმა.

ჟურნალისტებმა ლაგოდეხის ნაკრძალიც დაასუფთავეს. მედია-სემინარის დასასრულს კი სპეციალისტებმა ჟურნალისტების კითხვებს ინდივიდუალურად უპასუხეს.

ნინო ჩხობაძე: „დედოფლისწყაროს პრობლემებზე შეიძლება ითქვას შემდეგი: იქ აღწერილია რამდენიმე წერტილი, რომელიც სტიქიური ნაგავსაყრელია. დედოფლისწყაროს გააჩნია თავისი ნაგავსაყრელი, თუმცა მისი პრობლემა, რომელსაც ძალზე ნათლად ვხედავთ, ის არის, რომ ნარჩენების გატანა ყველა სოფლიდან ერთდროულად არ ხდება. ძალიან ბევრ სოფელში აღმოჩნდა, რომ არასაკმარისი კონტეინერებია. თვითონ ქალაქ დედოფლისწყაროდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები გადის, თუმცა სამწუხაროდ არ ხდება გატანა სოფლებიდან. მიმდებარე სოფლებში არსებობს კონტეინერები, თუმცა ძალიან ბევრ მოშორებულ სოფლებში არ გვხვდება. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს სტიქიურ ნაგავსაყრელებთან. ცხადია, ეს კერები უნდა იქნას სასწრაფოდ ლიკვიდირებული. პირველ რიგში, რაც მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებმა დაფინანსება უნდა გაზარდონ, რომ შეიძინონ კონტეინერები და ნარჩენების გატანა უზრუნველყონ. ისინი უნდა გაიტანონ ავტომანქანით და განთავსდეს იმ ლეგალურ ნაგავსაყრელებზე, რომლებიც დედოფლისწყაროს გააჩნია.

> **«** როდესაც „არწივის ხეობაში“ გვაქვს ნაგავი, ძალიან რთულია რამეზე საუბარი...

დედოფლისწყაროსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არის წყლის რესურსი, რადგან ხდება ნაკვეთების რწყვა, ამდენად, თუ არ გვქონდა წყალი, ბუნებრივია, ვერ მივიღებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციას. დედოფლისწყაროში ორი ძალიან მნიშვნელოვანი თემა გამოიკვეთა. პირველი - წყლის ნაკლებობა ძალიან შეინიშნება და ხევების დაბინძურება პირველ რიგში იწვევს იმას, რომ დაბინძურებულ წყალს ვაწვდით სასოფლო სამეურნეო სავარგულებს. მეორე თემა, რაც დედოფლისწყაროსთვის ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა, ეს გახლავთ პირუტყვის გადასარეკი ბილიკების მოწესრიგების საკითხი. ჩვენ სემინარზე ამ საკითხის ირგვლივ არ გვისაუბრია, თუმცა ვიცით, რა ვითარებაა გადასარეკ ბილიკებზე და რამდენად სერიოზული პრობლემაა პირუტყვის დაცემასთან დაკავშირებით. როცა ცხვარს გზად ხვდება ნაგავსაყრელი, ეს დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, საკითხი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წინა ხელისუფლებას ეს პრობლემები მეტნაკლებად გააზრებული ჰქონდა და ვიმედოვნებ, რომ ახლადარჩეული საკრებულო და გამგეობა აუცილებლად გაითვალისწინებს იმას, რომ პირველ რიგში დაფინანსება ამ კუთხით უნდა გაიზარდოს.

– გაუდაბნოების კუთხით რა რეკომენდაციები გაქვთ დედოფლისწყაროს ხელისუფლებისთვის?

– ეს იმიტომ ხდება, რომ წყლის რესურსის სერიოზული პრობლემაა დედოფლისწყაროში. რაც შეეხება რეკომენდაციებს, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ არაერთგზის გაჟღერებული რეკომენდაცია დედოფლისწყაროს მისამართით, ეს არის ქარსაფარი ზოლების გაშენება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შევაჩეროთ გაუდაბნოების პროცესი, რომელიც დედოფლისწყაროში მიმდინარეობს. ასევე მნიშვნელოვანია წყლის ყველა წყაროსთან ხელოვნურად ტყეების გაშენება, რადგან ტყე მარეგულირებელი სისტემაა, რომელიც საშუალებას იძლევა, ხელოვნურად გაშენების გზით დავიცვათ და წარმოვქმნათ წყალი. თუმცა, აქვე უნდა გითხრათ, რომ როდესაც „არწივის ხეობაში“ ჩვენ გვაქვს ნაგავი, ასეთ შემთხვევაში ძალიან რთულია რამეზე საუბარი!... როდესაც მთლიანად ხეობაში სოფლიდან შემოდის ნაგავი და მიჰყვება ხეობას, როდესაც დაცული ტერიტორიის სტატუსს ატარებს და აქ გვხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ეს ძალიან პრობლემატური საკითხია. ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში უნდა გაკეთდეს ქარსაფარი ზოლები და წყალმომარაგების ობიექტები. მთელი პროექტის განმავლობაში დედოფლისწყაროსა და მის რამდენიმე სოფელში რამდენჯერმე ჩავატარეთ შეხვედრები და გვინდა, რომ მოსახლეობას მაქსიმალურად ავუხსნათ და ჩართულობა იყოს მაღალი. ბოლო პერიოდში დედოფლისწყაროში რამდენიმე მასშტაბური აქცია ჩატარდა, რომ არალეგალური ნაგავსაყრელები მოისპოს. სოფელ სამრეკლოში არის ერთი არალეგალური ნაგავსაყრელი, რომელიც ლიკვიდაცია მოხერხდება მხოლოდ მძიმე ტექნიკის გამოყენებით და ჩვენ მოსახლეობას დავპირდით, ამ პრობლემას აუცილებლად გადავჭრით და გვინდა დავიხმაროთ კერძო ორგანიზაციებიც, რომ ეს ნაგავსაყრელი გაიწმინდოს. ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია მოსახლეობის სრული მობილიზება და ინფორმირებულობა. ამ შეხვედრების მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა პრობლემის მასშტაბურობაში დავარწმუნოთ და გავაცნობიეროთ ის, თუ რამხელა ზიანის მოტანა შეუძლია ასეთ ნაგავსაყრელებს.

– თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ დედოფლისწყაროში გაუდაბნოებასთან საბრძოლველად წლების მანძილზე მილიონობით თანხები იხარჯება. ბევრი მიიჩნევს, რომ პროცესი არასწორად მიმდინარეობს და თანხები არაფექტურად დაიხარჯა, რაც რეალურ შედეგს არ მოიტანს, თქვენი შეფასებით, რამდენად სწორად მიმდინარეობს დედოფლისწყაროში ამ საკითხის გადაჭრაზე მუშაობა?

- მეორე შეფასებით, რომელიც კლიმატის ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე მომზადდა, გაუდაბნოების კუთხით დედოფლისწყარო ყველაზე გამორჩეულია. ყველა დონორი ორგანიზაციის მთელი ძალისხმევა ამიტომაც არის მიმართული იქითკენ, რომ დედოფლისწყარო გადავარჩინოთ და გაუდაბნოების პროცესი ამ მუნიციპალიტეტში რამენაირად შენელდეს. რომ ვთქვათ ეს პროცესი შეჩერდება, არასწორი იქნება, თუმცა მთავარი მიზანი უნდა იყოს პროცესის შენელება და შერბილება, რაც გლობალური კლიმატის ფონზე ხდება.

პიდრაპირ ვთქვათ, უფრო მეტი ძალისხმევა გვჭირდება. ჩემი აზრით, ამჟამად პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ვერ ვიტყვი, რომ დადებითი შედეგები ჩანს, ამას მუდმივი მუშაობა სჭირდება. აუცილებელია ამას პერმანენტული ხასიათი ჰქონდეს, მხოლოდ კამპანიური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და სახელმწიფო პროგრამით უნდა დაფინანსდეს, რომ დედოფლისწყაროში გაუდაბნოების პროცესი შერბილდეს. აგრეთვე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სწორი მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც ამჟამად აუცილებელია. ანუ, დედოფლისწყაროსთვის სწორი ძოვების საკითხი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია“.

გიორგი შუხოშვილი: „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია რეგიონალური ნაგავსაყრელების მართვისთვის შეიქმნა. უკვე განხორციელდა 52 რეგიონალური ნაგავსაყრელის შემოერთება. საწყის ეტაპზე პოლიგონები შემოიღობა, გამშვები ჯიხურები მოეწყო, ადგილებზე განთავსდა ოპერატორები, აღრიცხვიანობა მოწესრიგდა. გამოიყო რამდენიმე პრიორიტეტული ნაგავსაყრელი და სრული რეაბილიტაცია მოხდა 8 ნაგავსაყრელზე, მათ შორის თელავში, გორში, ქუთაისში და ა.შ. მიმდინარე წელს კიდევ 11 ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია განხორციელდება. მათ შორის დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელის. საბედნიეროდ, დედოფლისწყაროში მოქმედი ნაგავსაყრელის რელიეფი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შესაბამისი სამუშაოები განვახორციელოთ. წელს შემოიღობება და კეთილმოწყობის სამუშაოებს წლის ბოლომდე შევასრულებთ.

– ანუ დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელი გაუქმდება?

- არა. დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია მოხდება და გარდამავალ ეტაპამდე იფუნქციონირებს. სხვა, ახალი სტანდარტებით მოწყობილი იქნება, ხოლო შემდეგ დაგეგმილია, საერთაშორისო სტანდარტების ახალი რეგიონალური ნაგავსაყრელის მოწყობა მთლიანად კახეთის რეგიონისთვის, სადაც დედოფლისწყაროდან და სხვა რაიონებიდან ნარჩენების ტრანსპორტირება მოხდება. ხელი უკვე მოეწერა გერმანიის განვითარების ბანკთან და მიმდინარე წლისთვის დაიწყება წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მომზადება. სამი-ოთხწლიანი პერიოდია, შემდგომ დაიხურება დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელი. იქნება გადამტვირთი სადგურები, რომლებიც ცენტრალურ ნაგავსაყრელებს დაუკავშირდება და, ალბათ, თელავთან სიახლოვეს განთავსდება“.

ილია მარტყოფლიშვილი

ქოჩების ტბასთან მისასვლელი 5 კილომეტრიანი გზა მოასფალტდება

(პირველი გვერდიდან)

სოფელი გადაშენების პირასაა მოსახლეობის სიმცირის გამო, საინტერესოა, რა პროექტი განხორციელდება თავწყაროზე იმისთვის, რომ ეს ამ სოფელში დარჩენილი მოსახლეობა მაინც დავაკავოთ?!

- ამ სოფელში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია მოხდება, გათვალისწინებული იყო ამბულატორიის შენობის შეკეთება, თუმცა მოსახლეობამ არჩევანი მინი სპორტულ მოედანზე გააკეთა. როგორც სჩანს, ზაფხულში მოხუცებს შვილიშვილები მაინც სტუმრობენ და მათთვის სპორტული მოედანი უფრო მნიშვნელოვანია.

- რაც შეეხება დანარჩენ სოფლებს?

- სოფელ გამარჯვებაში თანამედროვე სტანდარტების მინი სპორტული მოედნის მოწყობაა დაწყებული, ასეთივე მოედანი კეთდება სოფელ ხორნაბუჯში. სოფელ ჭოეთში კი, ბუნებრივი წყაროს სათავის გაწმენდა და სოფელში არსებული ჭის კეთილმოწყობა ხორციელდება. სოფელ სამრეკლოში შპს „მათე“ მაისის თვიდან მუშაობს და აგვისტოში დაასრულებს სოფლის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციას და სოფელში არსებული ბუნებრივი წყაროს „ჭირხლის წყლის” ბოგირის რეაბილიტაციას.

- რამდენადაც ცნობილია, ქედების ზონისკენაც არანაკლები სამუშაოებია გაჩაღებული, რა ხდება იმ სოფლებში?

– ქედების ზონის სოფლებში ძირითადად კომპანია „XXI საუკუნე“ ასრულებს სამუშაოებს. დავიწყოთ სოფელი ზემო ქედით აქ ზაფხულის ბოლოსთვის დასრულდება სოფლის გმირთა მემორიალის მოწყობა, სოფლის ორივე საბავშვო ბაღს უტარდება რეაბილიტაცია და ამასთან სოფლის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობას მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა დაუმონტაჟდება. სოფელ ქვემო ქედში ასევე საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, აქვე, სოფელში არსებულ ბუნებრივ წყაროსთან და სოფელ ფიროსმანთან მისასვლელ საავტომობილო გზას უტარდება რეაბილიტაცია და ასევე შეკეთდება და კეთილმოეწყობა ამ სოფლის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი. მოგეხსენებათ, სოფელი სამთაწყარო მევენახეობითაა ცნობილი, მალე ისინი ყურძენს მოიწევენ და მათთვის მნიშვნელოვანი გახლავთ სოფლის ცენტრში დიდი სასწორის დამონტაჟება, ამიტომ სოფელმა 25 ტონიანი სასწორის შეძენა-მონტაჟი მოითხოვა, ამჯერად მიმდინარეობს ასეთი სასწორის მოძიება. ამავე სოფელში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და დარჩენილ უბნებში გარეგანათების მოწყობა. სოფელ ფიროსმანზე მოგახსენებთ, რომ აქაც დარჩენილ უბნებში მოეწყობა გარეგანათება, ხოლო სოფელში არსებულ სკვერში „შინდისის გმირების“ ხსოვნის საპატივცემულოდ გმირთა მემორიალი გაიხსნება. სოფელ საბათლოში მიმდინარეობს სკვერის კეთილმოწყობა და სოფლისთვის 200 კაცზე გათვალისწინებული მოძრავი(დასაშლელ-ასაწყობი) კონსტრუქციის საბანკეტო კარვის, მაგიდა-სკამების

და ჭურჭლის შეძენა, ასევე დარჩენილ უბნებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. მთლიანობაში სოფლის განვითარების პროგრამისთვის წელს ბიუჯეტიდან ნახევარ მილიონზე მეტი თანხა დაიხარჯება.

სრულდება დიდი ხნის ოცნება – მიმდინარეობს ქოჩების ტბასთან მისასვლელი გზის მოასფალტება, რომელი სახსრებით ხორციელდება ეს სიკეთე ჩვენს რაიონში?

- ეს გახლავთ წნორი- დედოფლისწყაროქვემო ქედის პიკეტი N31-35 მონაკვეთი, სადაც მიმდინარეობს 4.5 კილომეტრიანი გზის მოასფალტება, მისი საერთო ღირებულება 2 მილიონ 700 000 ლარია.

- რა კეთდება კიდევ რეგიონალური განვითარების პროგრამით?

- რეგიონალური დაფინანსებით კეთდება ხევსურების უბნის ოთხი ქუჩა: არხოტის, თერგის, კახეთის და ბაგრატიონის ქუჩები და ასევე სოფელ სამრეკლოს თამარის ქუჩა, ეს ყველაფერი მთლიანობაში 700 000 ლარის ღირებულებისაა.

- რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებს?

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება მეგობრობისა და თავისუფლების ქუჩებთან დამაკავშირებელი ქუჩები და მოსახლეობის ეზოებში ჩასასვლელი პრობლემური ქუჩები. ასევე რაიონში მთლიანად კეთდება თამარის ქუჩა და დედოფლისწყაროს გმირთა მემორიალთან გადასახვევში მდებარე სასაზღვროს N4 სამმართველოსთან გადასასვლელი გზა, მისი საერთო ღირებულებაა 580 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტითვე ხორციელდება სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმთან მისასვლელი გზა, ხოლო გარეგანათება გაკეთდება სოფელ ოზაანში სკოლის და წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძრისკენ მიმავალი ქუჩის ბოლომდე.

- ბატონო სოლომონ, ზაფხულის სეზონია, რაიონის მოსახლეობის ინტერესს ამ ეტაპზე ქოჩების ტბის კეთილმოწყობა წარმოადგენს, რა ხდება ამ მხრივ, ქოჩების ტბასთან მისასვლელი გზის მშენებლობა ხომ არ არის დასაწყისი იმის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ ტბის ინფრასტრუქტურაც მოეწყობა და ის ერთ-ერთ სასურველ ადგილად იქცევა?!

- მე მესმის მოსახლეობის მოთხოვნები და თუკი ვინმეს სურს, რომ ქოჩების ტბა მართლაც ერთ- ერთ ლამაზ ადგილად იქცეს დედოფლისწყაროში, ეს ჩვენ ვართ,- დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობა. საკითხი სამხარეო და სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს, რადგან ის იმხელა თანხებს მოითხოვს და იმხელა ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომ მხოლოდ ჩვენი ინიციატივით, ვერაფერს გავხდებით. აზომილია ტბის სარკის ზედაპირი, მისი გარშემოწერილობა, წიწვოვანი ტყის ფართობი, უკვე შედგენილია საკმაოდ მიმზიდველი პროექტი. ამის შესახებ გაგზავნილია მონაცემები ტურიზმის დეპარტამენტში, ეკონომიკის სამინისტროში, გუბერნიაში, სადაც თვით გუბერნატორის, ბატონი ირაკლი შიოლაშვილის ინტერესიცაა, რომ ეს ადგილი მართლაც საკადრის დონეზე გაკეთდეს, ეს დიდებული პროექტია და თუ ჩვენ რასაც ვგეგმავთ, ის განხორციელდა, ქოჩების ტბა ლოპოტაზე უკეთეს და ულამაზეს ადგილად იქცევა. ასე, რომ მოსახლეობას მინდა ვუთხრა, რომ ეს საკითხი არ გვაქვს მიყურადებული რაიონის და არამარტო რაიონის ხელმძღვანელობას, ყველა ჩართულია ამ საქმეში და მიმდინარეობს მუშაობა, თუ როგორ გაკეთდეს, რა გზით და რომელი სახსრებით. არაა გამორიცხული, რომ კერძო ინვესტიციებიც ჩაიდოს ამ საქმეში. მუშაობა მიდის, ყველაა ამ საქმეში ჩართული და არცთუ შორეულ მომავალში, ეს საქმე ნამდვილად სისრულეში იქნება მოყვანილი.

- გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის და უამრავი კარგი ინფორმაციის მოწვდისთვის.

ლალი მეხრიშვილი

შელავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში კახეთში საწარმოები გაიხსნა

კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კახეთში შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის მე —3 კომპონენტის ფარგლებში 6 933 700 ლარი გაიცა. მათივე ცნობით, აღნიშნული თანხით გურჯაანში 7, დედოფლისწყაროში 5, თელავში 7, ლაგოდეხში 1, საგარეჯოში 3, სიღნაღში 4, ხოლო ყვარელში 5 საწარმო გაიხსნა.

გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გურჯაანის რაიონში შემდეგი საწარმოები გაიხსნა:

სოფელ კოტეხის ფერმა, მსესხებელი — ი/მ ვალერი დაუდიშვილი; შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 55 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელ მუკუზნის ბოლოს, მსესხებელი — შპს ფარნავაზი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 600 000, დარგი — ღვინის წარმოება.

ქ. გურჯაანი ქოროღლიშვილის 46 (ძვ. მექანიკურ ქარხანა), მსესხებელი — „პროფესიონალური მეღვინეობის პროდუქტები“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 550 000, დარგი — მუხის კასრების წარმოება.

სოფელი ვაჩნაძიანი, ალაზნის მხარეს (ტერიტორიას ქვია აყუდებული ქვა), მსესხებელი — შპს „სავაჭრო სახლი კახელები“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 290 000, დარგი — მეხილეობა.

გურჯაანი, მსესხებელი — ი.მ აკაკი მირველაშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 70 000, დარგი — მესაქონლეობა.

გურჯაანი, მსესხებელი — შპს „მშვენება 2009“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 36 000, დარგი — სასათბურე მეურნეობა.

სოფელი ჩუმლაყი, მსესხებელი — შპს „ქართული ხილის კომპანია“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 600 000, დარგი — სამაცივრე საწარმო.

დედოფლისწყაროს რაიონში გაიხსნა შემდეგი საწარმოები:

სოფელი ხორნაბუჯი (ყოფილი ატეკის შენობა), მსესხებელი — ი.მ ალუღიშვილი ნუგზარი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 80 000, დარგი — სასაწყობო მეურნეობა.

სოფელი ხორნაბუჯი (ყოფლი ღვინის ქარხნის ტერიტორია), მსესხებელი — ი.მ ზვიადი ბიკაშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 117 000, დარგი — სასაწყობო მეურნეობა.

დედოფლისწყარო, 1 მაისის ქ. N39, მსესხებელი — ი.მ ილია ჯორკოშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 30 000, დარგი — რძის გადამუშავება.

სოფელი ხორნაბუჯი, მსესხებელი — შპს „აგრო ჯონდი“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 340 000, დარგი - ცხოველების საკვების წარმოება.

დედოფლისწყარო, მსესხებელი — ი.მ ვაჟა გონაშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 110 000, დარგი - შერეული მემცენარეობა.

გუბერნატორის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შელავათიანი აგროკრედიტის მე — 3 კომპონენტის ფარგლებში თელავის რაიონში შემდეგი საწარმოები გაიხსნა:

ქ. თელავი (აჩინებული),მსესხებელი — შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 600 000, დარგი — ღვინის წარმოება.

ქ. თელავი, მშვიდობის ქ. N41, მსესხებელი — შპს „ვაზიანი კომპანი“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 600 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელი შალაური, მსესხებელი — შპს „შალაურის ღვინის მარანი“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 123 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელი წინანდალი — XXI საუკუნის საუკეთესო ღვინოები, მსესხებელი — შპს „წინანდალი“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 300 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელი კურდღელაური (ჩიხის ტერიტორია), მსესხებელი — ი.მ გურამ მჭედლიშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 35 000, დარგი — მესაქონლეობა.

სოფელ შალაურის ტერიტორია, ალაზნის მიმდებარედ, მსესხებელი — ი.მ დავით ბერიაშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 84 700, დარგი — მეღორეობა.

სოფელი ვარდისუბანი, მსესხებელი — შპს „ვინივერია“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 600 000, დარგი — ღვინის წარმოება.

ლაგოდეხის რაიონში, სოფელი კართუბანი მარცვლეულის საშრობი გაიხსნა. მსესხებელი ი.მ გიორგი პასაშვილია, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 30 000 ლარი.

საგარეჯოს რაიონში გაიხსნა შემდეგი საწარმოები:

საგარეჯო, მსესხებელი — შპს „ვაინ კომპანი“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 340 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელი უჯარმა (ტბასთან),მსესხებელი — ი.მ გივი ნიორაძე, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 50 000, დარგი — სასათბურე მეურნეობა.

სოფელი თოხლიაური, მსესხებელი — შპს დს აგრო ს/კ 404989401, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 70 000, დარგი — მეფრინველეობა.

სიღნაღის რაიონში შელავათიანი აგროკრედიტის მე —3 კომპონენტის ფარგლებში გაიხსნა:

წნორი, ზურაბიშვილის ქ.N5, მსესხებელი — შპს ტუხა, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 50 000, დარგი — მარცვლეულის საშრობი და სასაწყობო მეურნეობა.

წნორი, ქიზიყის ქ. N68, მსესხებელი — ი.მ კობა ლეკიშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 63 000, დარგი — მარცვლეულის საშრობი და სასაწყობო მეურნეობა

სოფელი ანაგა, მსესხებელი — ი.მ მიხეილ ხატიაშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 30 000, დარგი — პროდუქციის შესანახი საწყობი.

სოფელი ქვემო მაღარო, ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორია, მსესხებელი — ი.მ ზვიად უსუფაშვილი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 45 000, დარგი — პროდუქციის შესანახი საწყობი.

ყვარლის რაიონში გახსნილი საწარმოების სია ასე გამოიყურება:

სოფელი ენისელი, მსესხებელი — შპს „აგროტეკი“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 235 000, დარგი — მესაქონლეობა.

სოფელი შილდა (ნეკრესის მონასტრის გზაზე), მსესხებელი — სს მეგობრების მარანი, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 600 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელი გრემი (მონასტრის უკან), მსესხებელი — შპს „ვაინ პროდუქტსანდ სპირიტს“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 100 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელი შილდა (ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარედ), მსესხებელი — შპს „შალოშვილის მარანი“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 200 000, დარგი — ღვინის წარმოება.

სოფელი წისკანაანთსერის მიმდებარედ, მსესხებელი — შპს „ყვარლის ბაგა“, შელავათიანი აგროსესხის მოცულობა 500 000, დარგი — მეცხოველეობის ფერმა.

შეგახსენებთ, გუშინ, ნაციონალური მოძრაობის“ ყვარლის გამგებლობის კანდიდატმა ხატია დეკანოიძემ მთავრობა მოსახლეობის მოტყუებაში დაადანაშაულა. დეკანოიძის განცხადებით, „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში დაფინანსებული საწარმოს ადგილას, ყვარელში 15 წლის წინ აშენებული საქონლის ფერმა დგას.

ამერიკული შთაბეჭდილებები ქართულად

სულ ახლახანს ამერიკიდან დაბრუნდა ჩვენი წარმატებული მოსწავლე ქეთი ჩაფიაშვილი, რომელიც ამერიკაში პროექტის „მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის“ (FLEX - Future Leaders Exchange) ფარგლებში ერთი წლით გახლდათ მიწვეული და იქაურ სკოლაში იღებდა სასკოლო განათლებას. პროგრამა მთლიანად დაფინანსებული გახლდათ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. ამერიკული შთაბეჭდილებების, იქ გატარებული ერთწლიანი სწავლისა თუ ემოციების შესახებ თავად ქეთი ჩაფიაშვილს ვესაუბრეთ.

- ქეთი, რას დაარქმევდი ამერიკაში ცხოვრების ერთ წელს, როგორ შეფასებას მისცემდი შენს მიერ განვლილ ამ მონაკვეთს?

- პირველ რიგში, დიდ წარმატებად მივიჩნევ, რომ ასეთი პრესტიჟული გაცვლითი პროგრამის გამარჯვებული გავხდი. ამერიკაში გატარებულმა წელმა უდიდესი გამოცდილება მომცა, რაც ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე დამეხმარება. ეს არ იყო მხოლოდ ერთი წელი ჩემს ცხოვრებაში, ეს იყო პატარა ცხოვრება, მოქცეული ამ მოკლე ხანში, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

- როგორია ამერიკელი ხალხი შინაარსობრივად და რით განსხვავდებიან ისინი ჩვენგან?

- ძალიან თბილი ხალხია. მათი პოზიტიური დამოკიდებულება ყოველთვის გადამდებია. არასდროს იშურებენ ღიმილსა და თავაზიან სიტყვებს. აფასებენ ყოველივე წვრილმანს, რასაც მათთვის აკეთებ. ძირითადად თავიანთ კარიერასა და პირად ცხოვრებაზე არიან კონცენტრირებულები. ამერიკელები, ზოგადად, ძალიან მრავალფეროვანი ერია და პირველ რიგში, ალბათ, ამით განსხვავდებიან ჩვენგან. მრავალეროვანი მოსახლეობა ერთმანეთისგან განსხვავდება კულტურით, ტრადიციებით, რელიგიით და ზოგადად, შეხედულებებით. ქართველები უნიკალური ერი ვართ სულიერი და მატერიალური კულტურის მხრივ. ერთმანეთისა და სამშობლოს სიყვარული სისხლში გვაქვს გამჯდარი. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობები და ერთმანეთის ავ-კარგის გაზიარება გვახასიათებს. ამერიკელები მაინც მეტად ინდივიდუალისტები არიან, ჩემი აზრით. თუმცა არ არსებობს უკეთესი და უარესი, ყველა და ყველაფერი უბრალოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

- როგორ შეფასებას მისცემდი ამერიკის განათლების სისტემას და რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენ მათგან?

- მე ვსწავლობდი რიგით საჯარო სკოლაში. აღსანიშნავია, რომ სკოლის ბაზაზევე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, კონკრეტული კუთხით განვითარდნენ. თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური ცხრილი, რომელიც შედგება, როგორც სავალდებულო, ასევე იმ საგნებისგან, რომლებსაც მოსწავლე თავად ირჩევს სურვილისამებრ. სისტემა ბავშვების ინტერესებზე მეტადაა გათვლილი. გაკვეთილების ხანგრძლივობა გაცილებით მეტია, თუმცა, პროცესი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს, თანამედროვე ტექნოლოგიებისა თუ სხვა რესურსების გამოყენებით. მასწავლებლები ცდილობენ, რაც შეიძლება გამარტივებული ენით გააშუქონ სახელმძღვანელოში მოცემული საკითხები. ასევე დიდი დრო და თანხები ეთმობა კლასგარეშე აქტივობებს, განსაკუთრებით სპორტს. ვისურვებდი, სპორტს აქაც მიექცეს სათანადო ყურადღება. რა თქმა უნდა, არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მაგრამ მთლიანობაში ამერიკული განათლების სისტემა მეტად ორგანიზებულია.

- შენი იქაური ფოტოებიდან ირკვევა, რომ ძალიან დიდ პოპულარიზაციას უწევდი ჩვენს ტრადიციებს , აცნობდი მათ ქართულ ცეკვას, აზიარებდი ქართულ ფოლკლორულ მუსიკას, რა იყო ეს – მოთხოვნა თუ მოვალეობა?

- როგორც ასეთი, მოთხოვნა არ ყოფილა, თუმცა FLEX-ის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ნამდვილად ესეც იყო. ამ შემთხვევაში ჩემი და პროგრამის მიზნები დაემთხვა ერთმანეთს. უბრალოდ, უზომოდ დიდი სურვილი მქონდა, ყველასთვის გამეზიარებინა ჩვენი დიდი კულტურა და ტრადიციები. მე თვითონ ხალხური მუსიკისა და ცეკვის დიდი თაყვანისმცემელი ვარ და მათი შესრულებისას უსაზღვრო სიამოვნებას ვიღებდი. ამიტომაც, არასდროს მიგრძვნია სიშორე ჩემი სამშობლოსგან. ვთვლიდი, რომ ნაყოფიერი დღე მქონდა, თუ იმ დღით ვიღაცას მაინც ვასწავლიდი რაიმეს ჩემი ქვეყნის შესახებ. ამერიკელებიც დიდი ცნობისმოყვარეობით იყვნენ განწყობილნი, მითუმეტეს, რომ საქართველოს შესახებ უმრავლესობამ არაფერი იცოდა. ჩავატარე პრეზენტაციებიც საქართველოზე. ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი გადმომეცა მოცემულ დროში, თუმცა, ბოლოს მივხვდი, რომ არანაირი დრო არ იყო საკმარისი ყველაფრის სათქმელად, რაც მინდოდა. იქნებ ეს ჩემი მოვალეობაც იყო, როგორც ქართველის. ეს ხომ ის მცირედია, რისი გაკეთებაც შემეძლო ჩემი ქვეყნისთვის!

- გამორჩეულად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი დღეები?

- ყოველი დღე თავისებურად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. განსაკუთრებით მაინც ჩემს მასპინძლებთან ერთად ნიაგარის ჩანჩქერზე გატარებულ დროს გამოვყოფდი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ღირსშესანიშნაობის ნახვის საშუალება მომეცა. კიდევ “ტალანტ შოუს” ღამე, როდესაც ქართული სიმღერების პოპური შევასრულე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი აპლიკაციის გამარჯვება კონკურსში, რის შედეგადაც ერთი კვირა გავატარე დედაქალაქში, ვაშინგტონში 19 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად. განსაკუთრებით ემოციური და დასამახსოვრებელი მაინც ბოლო დღეები იყო. ძალიან ძნელი იყო გამომშვიდობება მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან, რომლებმაც მრავალი დაუვიწყარი მომენტი მაჩუქეს.

- მომავალში დაგეგმავ თუ არა ამერიკაში სწავლის გაგრძელებას.

- თუ საშუალება მომეცემა, შემდეგ დავფიქრდები. ბევრი გაცვლითი პროგრამა არსებობს უნივერსიტეტის დონეზე, რომელშიც, ალბათ, მივიღებ მონაწილეობას. ჯერჯერობით არაფერი მაქვს დაგეგმილი.

- რა მოგცა და რა გასწავლა მშობლიური კუთხისგან შორს, სულ სხვა ხალხში ყოფნამ?

- პირველ რიგში, ახალ სიტუაციებთან შეგუების და უცხო ხალხთან ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარი შემძინა. ალბათ ჩემს ასაკში ყველა ოცნებობს დამოუკიდებლად ცხოვრებაზე, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ყოველ ნაბიჯზე გხვდება დაბრკოლებები, ანდა უბრალოდ უიღბლო დღეები. განსაკუთრებით რთულია, მოერგო განსხვავებულ მენტალიტეტს და გარემოს, ილაპარაკო გამუდმებით უცხო ენაზე, თუმცა, ე.წ. კულტურული შოკი მე, ნამდვილად, არ მქონია. რა თქმა უნდა, უზომოდ მენატრებოდა ჩემი ქვეყანა, ოჯახი, მეგობრები და ა.შ, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა და მოცემული დრო სასარგებლოდ გამომეყენებინა. ამ ერთი წლის განმავლობაში ძალიან გავიზარდე და უფრო ძლიერი გავხდი.

- როგორი იყო შენს შემხვედრ ოჯახში გარემო?

- ძალიან თბილი გარემო და ურთიერთობები გვქონდა. მათ ნამდვილ ოჯახის წევრად მიმიღეს. დიდი ენთუზიაზმით სწავლობდნენ ქართულ ფრაზებს, ქართული კერძების მომზადებას, ეცნობოდნენ ჩვენს კულტურასა და ტრადიციებს. როგორც მათ ერთხელ თქვეს, ჩვენ დიდი გავლენა მოვახდინეთ ერთმანეთის ცხოვრებაზე და ეს არ იქნება დროებითი. მასპინძელ ოჯახთან გატარებული დრო უდავოდ საუკეთესო ამერიკულ მოგონებად დარჩება ჩემთვის. ისინი აუცილებლად ეწვევიან საქართველოს ახლო მომავალში.

- ქეთი, მაინტერესებს შენი აზრი, როცა დაბრუნდი, როგორი დაგხვდა საქართველო, უკეთესი თუ უარესი და, საერთოდ, ამ პატარა სახელმწიფოსა და გიგანტურ ამერიკას შორის რა დადებითს და უარყოფითს ხედავ?

- ჩამოსვლისთანავე ბევრი სასიკეთო ცვლილება შევნიშნე. რაიონული ცხოვრება გამოცოცხლებულია, განსაკუთრებით კულტურის სფეროში. მეტად სასიხარულოა, რომ განვითარებისკენ მივიწევთ.

ამერიკაში სტაბილური ვითარებაა. ვფიქრობ, ამ ქვეყნის წარმატებებს ზოგადად მათი კარგად ორგანიზებული სახელმწიფო სისტემები განაპირობებს, რასაც პირველ რიგში მათი კონსტიტუცია უზრუნველყოფს. ამერიკელებიც კანონებისადმი პატივისცემით გამოირჩევიან. შეიძლება მათი ასეთი სწრაფი პროგრესიც სწორედ ამითაა განპირობებული. პრობლემები კი, რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფოში არსებობს.

- და ბოლოს, როგორი იყო აქაურ მეგობრებთან შენი შეხვედრა? როგორ დაგხვდნენ ისინი?

- ერთი წლის უნახავ მეგობრებთან შეხვედრა უდიდესი სიხარული იყო. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნამდვილ მეგობრობას ვერც დრო და ვერც მანძილი ვერ აქრობს. მოკლედ, ჩემი დაბრუნება დიდ დღესასწაულად იქცა ჯერ კიდევ აეროპორტში. თუმცა, მთავარი მაინც ჩემს სახლში მელოდა. ღამის ოთხი საათიდან ჩემი მეგობრები ჩემს ეზოში მელოდებოდნენ ფარნებით, მაშხალებით, შამპანურებითა და ტორტით. არაჩვეულებრივი გრძნობა იყო, როდესაც კარი შევაღე და ყველა ჩემი საყვარელი ადამიანი ერთად ვნახე თავმოყრილი. ყველა ძალიან გაზრდილი და შეცვლილი დამხვდა, თუმცა, ჩვენი მეგობრობა წლების განმავლობაში უცვლელი რჩება და დიდი მადლობა მათ, რომ ასეთი განსაკუთრებულები არიან! და კიდევ, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ დროის განმავლობაში გვერდით მედგა. ყოველთვის ვგრძნობდი დიდ სითბოსა და მხარდაჭერას საქართველოდან. ყველა ძალიან მიყვარხართ! კიდევ ერთხელ ვულოცავ პროგრამის კიდევ ერთ გამარჯვებულს, ჩემს მეგობარს, ლევან ჩუთლაშვილს, რომელიც ასევე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2013-2014 სასწავლო წელს.

P.S. ჩვენო წარმატებულო გოგონა, ჩვენო ქეთი, გისურვებთ, მუდამ ასეთი ძლიერი, მებრძოლი და შეუპოვარი ყოფილიყავი, როგორადაც შენ ამერიკაში წარმოაჩინე ჩვენი ქართველობა, მისი ტრადიციები და კულტურა. წინ დიდი ცხოვრება გელის, ცხოვრება, რომელიც არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას და გვაიძულებს, მუდმივად მობილიზებულნი ვიყოთ იმისთვის, რომ ის, რაც გვარგუნა ბედად განგებამ, მას გავუმკლავდეთ. გვჯერა, რომ წინ უამრავი მწვერვალი გელის დასაპყრობად და წარმატებული იქნება შენი მომავალი.

ლალი მეხრიშვილი

კულტურული რევოლუცია თუ ქართველი ქალის დისკრიმინაცია

ტელეკომპანია GDS—ის ეთერში 9 ივლისს გადაცემა „ბინა 18“ გავიდა, სადაც ჯგუფი „ბანი“ ასრულებს რაჭულს და მუსიკალურ ინსტრუმენტად ქალის სხეულია გამოყენებული. ვიდეოზე ასახულია, როგორ უკრავს გადაცემის სტუმარი „რაჭულის“ მელოდიას გოგონების უკანალზე. გენდერის სპეციალისტების თქმით, აღნიშნული ვიდეომასალა ქალთა უფლებების დარღვევის, აბუჩად აგდების და განივთების ნიმუშია. იურისტების თქმით, ტელეკომპანიამ ეთიკის სტანდარტები დაარღვია. თუმცა ეთიკის სტანდარტების დარღვევის მიღმა ქართველმა ერმა ქალის, დედის და მთლიანად ჩვენი ღირებულებების შეურაცხყოფა დაინახა.

საქართველოში ქართველი ქალის კულტი არსებობდა. მას პატივს სცემდნენ, როგორც დედას, დას, ეთაყვანებოდნენ, როგორც სატრფოს...მეფე თამარის შემდეგ ქალისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო შეიცვალა და დაიხვეწა. დღეს, როცა მსოფლიო საზოგადოება გმობს ყოველგვარ ძალადობას, განსაკუთრებით კი ქალისადმი არაადამიანურ მოპყრობას, ასეთი ფორმატის გადაცემის ტელეეთერში გასვლამ მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ქართული ტრადიციების აბუჩად აგდებას, მის უარყოფას და მომავალი თაობის გარყვნას ისახავს მიზნად.

სახალხო დამცველი შეშფოთებას გამოთქვამს გავრცელებული ვიდეო ჩანაწერის გამო, რომელიც ტელეკომპანია GDS-ის მიერ მომზადებული გადაცემა „ბინა 18“-ის ფარგლებში გავიდა. უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ქალის „ნივთად წარმოჩენა“ წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა უფლებრივი მდგომარეობისათვის საქართველოში.

„ქალის სხეულის მუსიკალურ ინსტრუმენტთან გაიგივება შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველია არა მხოლოდ მონაწილე ქალების, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის. ქალის შეფასება მისი გარეგნული, ბიოლოგიური მახასიათებლებით, მისი ობიექტივიზაცია და „ნივთად წარმოჩენა“ წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა უფლებრივი მდგომარეობისათვის საქართველოში“, — აცხადებს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი.

მისივე თქმით, დღეს, როდესაც საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელია, ქალები ყოველდღიურად განიცდიან ჩაგვრასა და უთანასწორო მოპყრობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ხდებიან საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული, სექსისტური შეხედულებების მსხვერპლნი, უჭირთ დაარღვიონ დუმილი და ისაუბრონ ძალადობაზე, შიშსა და დისკრიმინაციაზე, რომელსაც ისინი განიცდიან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არსებული მიდგომების ცვლილებას და არა მათ განმტკიცებას, რაშიც განუზომელია მედია საშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი.

„ტელევიზია ინფორმაციის მთავარი და პირველადი წყაროა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენისთვის. შესაბამისად, მედია საშუალებების უზარმაზარი გავლენისა და როლის გათვალისწინებით საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესში, მნიშვნელოვანია გავრცელებული ინფორმაცია არ იწვევდეს საზოგადოებაში სტერეოტიპების გაძლიერებას და არ შეიცავდეს ძალადობის წამახალისებელი და ქალის ობიექტივიზაციისაკენ მოწოდებებს. პირიქით, უკვე აშკარაა მედიის დიდი როლი ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში და მნიშვნელოვანია მათი მხრიდან გამოყენებული იქნას ყველა საშუალება ამ პასუხისმგებლობის რეალური განხორციელებისათვის“, — მიაჩნია ომბუდსმენს.

სახალხო დამცველის განცხადებით, აუცილებელია, რომ მედია საშუალებებმა ხელი შეუწყონ ქალის როლის წარმოჩინებას მისი შემოქმედებითი პოტენციალის გათვალისწინებით. გამოხატონ პატივისცემა იმ საქმიანობისა და განუზომელი წვლილისათვის, რომელიც ქალებს შეაქვთ სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრების საკითხში.

სახალხო დამცველი მოუწოდებს ყველა მედია საშუალებას, გაითვალისწინონ საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის

კუთხით არსებული მდგომარეობა, ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელი და უთანასწორო მოპყრობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის ჩამოყალიბებას ქალთა შეურაცხმყოფელი კუთხით წარმოჩინების, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და შეწყვიტონ სექსიზმის ტირაჟირება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ტელეკომპანია GDS-ის გადაცემას ეხმაურება და აცხადებს, რომ ფოლკლორის ცენტრი პატივს სცემს ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას, თავისუფალ აზრსა და თავისუფალ მედიას, მაგრამ უკიდურესად შეშფოთებულია და გულისტკივილს გამოთქვამს ბოლო პერიოდში გახშირებული არაეთიკური და არაკორექტული დამოკიდებულების გამო ქართული ფოლკლორის ნიმუშების მიმართ.

„ამ უარყოფითი ტენდენციის კულმინაცია იყო ჯგუფ “ბანის” მიერ “შესრულებული” რაჭული სიმღერა და შესრულების ფორმა ქართული ტელეარხის ეთერში.

დაუშვებლად მიგვაჩნია ქართული ხალხური სიმღერის არამიზნობრივად, მერკანტილური, მომხმარებლური მიზნით გამოყენება, ე.წ. “პოპულარობის” მოსაპოვებლად. ეროვნული საუნჯის ხელყოფის უფლება არავის აქვს.

მივმართავთ ფოლკლორულ და შემოქმედებით კოლექტივებს, ასევე სხვა შემსრულებლებს: ნუ გახდით მსოფლიოს მიერ აღიარებულ ქართულ ხალხურ სიმღერას საეჭვო, მდარე ხარისხის ექსპერიმენტების სამიზნედ“, -ნათქვამია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განცხადებაში.

ქართული საზოგადოების აზრი ამ შემთხვევაში ორად არ გაყოფილა და ყველა თანხმდებოდა, რომ ასეთი მედია პროდუქცია ხელს უწყობს იმ მავნე სტერეოტიპების დამკვიდრებას, რომლებიდანაც საზრდოობს დისკრიმინაციული მიდგომები და ძალადობა...

მესმის, რომ ბევრისათვის ძნელია ამ „კრეატივისა“ და მაგალითად ბოლო თვეებში ყოფილი და „მოქმედი“ ქმრების მიერ დახოცილ-დასახიჩრებული 15 ახალგაზრდა ქალის ამბავის ერთმანეთთან დაკავშირება, მაგრამ ფსიქოლოგებისა და ამ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების აზრს თუ გავითვალისწინებთ, ალბათ ასეთი პარალელის გავლება აღარ გაგვიჭირდება. „მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი პოზიცია დააფიქსიროს ამ საშინლად შეურაცხმყოფელ კადრებზე, რომ ასეთი პერვერსია აღარ განმეორდეს ტელე-ეთერით. ქალის უპატივცემლობის, განივთების და აბუჩად აგდების ნიმუშია და ძალიან სამარცხვინოა ადამიანი, ქალი ან კაცი, ასეთ ამბავში მონაწილეობდეს, ან ასეთი რამ თავში მოუვიდეს... საზოგადოებას უნდა ავუხსნათ, რას ინვევს ასეთი დამოკიდებულება და რომ დიდი განსხვავება არ არის ამ კადრებსა და ქალთა მკვლელობების ისტორიებს შორის, ეს ერთი ესთეტიკის, ერთი ლოგიკის ნაწილია... ძალიან ვწუხვარ, რომ ახალგაზრდები ასეთი ფორმით ირთობენ თავს და სხვა ახალგაზრდებს აყურებინებენ ამას.... ჩვენი პოზიცია ეს უნდა იყოს პასუხი, ნულოვანი ტოლერანტობა ქალის - ადამიანის განივთებას, ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა მიმართ ძალადობას“, — ასეთ კომენტარს აკეთებს გაეროს ქალთა ფონდის მრჩეველი გენდერულ საკითხებში თამარ საბეჟდაშვილი.

ნუთუ ჩვენი შვილების დანგრეული მომავალი გვიღირს ამ უგემოვნო და უხამს ხალისობად?- აი მთავარი კითხვა, რომელიც ამ გადაცემის ტელეეთერში გასვლის შემდეგ დაისვა საზოგადოებაში.

ინგა შიოლაშვილი

იოლი ფულის ძვირი ფასი

მოსახლეობა არ არის დაცული საფინანსო სექტორის მტაცებლური მადისგან

ბოლო პერიოდში, ინტერნეტსივრცეში ონლაინსესხების გამცემი საკრედიტო ორგანიზაციები მომრავლდნენ (vivus.ge; onlinecredit.ge; emma's credit.ge; masesxe.ge, cash24.ge, crediton.ge და ა.შ.).

ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციები მომხმარებელზე მოკლევადიან, მცირე სესხებს ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე გასცემენ, რომლის დამტკიცებასაც 15 წუთიდან 1 საათამდე სჭირდება. სესხის ასაღებად ერთადერთი მოთხოვნა კლიენტის ასაკია. საკრედიტო ორგანიზაციები კლიენტის მინიმალურ ასაკად 20-21 წელს ასახელებენ.

როგორც ონლაინსესხების გამცემი ვებგვერდები იუწყებიან, მათ მიერ გაცემული პირველი კრედიტი უპროცენტოა და ამ ფაქტის რეკლამირებას აქტიურად ახდენენ, თუმცა მეორედ და მესამედ აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთებზე არაფერს ამბობენ. აღსანიშნავია, რომ პირველი უპროცენტო სესხი მხოლოდ ზოგ ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციას აქვს, ხოლო უმეტესობა მომხმარებელს არც ამ შეღავათს სთავაზობს.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები, თუ რა საპროცენტო განაკვეთის გადახდა უწევს მომხმარებელს ამ ტიპის სესხის აღების შემთხვევაში. emma's credit-ის ვებ გვერდზე კლიენტს 10-დან 300 ლარამდე სესხის აღება შეუძლია მაქსიმუმ 30 დღის ვადით. თუ კლიენტი 300 ლარს 30 დღის ვადით აიღებს, როგორც ვებგვერდი იუწყება 90 ლარის საკომისიოს გადახდა მოუწევს, შესაბამისად მომხმარებელს 1 თვის შემდგომ 390 ლარის დაბრუნება უწევს. ამ სესხის ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი 360%-ია.

კიდევ ერთ ონლაინსესხების ვებგვერდზე cash24.ge -ზე შესაძლებელია 50-დან 700 ლარამდე კრედიტის აღება. თუ 700 ლარის მოცულობის სესხს 30 დღის პერიოდით აიღებთ, ამ შემთხვევაში თქვენ ერთი თვის შემდეგ უნდა დააბრუნოთ 840 ლარი და შესაბამისად, ამ სესხის წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 240%-ია.

ონლაინსესხების გამცემ ვებგვერდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული vivus.ge-ია, რომელიც თავისი მომსახურების აქტიურ რეკლამირებას ეწევა. ვივუს.გე -ზე სესხის მოცულობა 50-დან 650 ლარამდე მერყეობს. ვივუს.გე-ზე პირველი სესხი უპროცენტოა, თუმცა ყოველ მომდევნო სესხს უკვე პროცენტი ერიცხება. მაგალითად, 650-ლარიანი სესხის 30 დღის პერიოდით აღების შემთხვევაში, კრედიტის დასაფარად 741 ლარის გადახდა მოგიწევთ. ამ სესხის წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 168%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი პირობები გათვლილია სესხის პირნათლად, დათქმულ ვადებში დაფარვის შემთხვევაში, მაგრამ თუ კლიენტმა აღებული თანხის და საკომისიოს დაბრუნება 1 თვის ვადაში ვერ შეძლო, ყველა ონლაინ საკრედიტო ვებგვერდს კრედიტის გადავადებისათვის დამატებითი საკომისიოები აქვთ. მაგალითისთვის, ვივუს.გე -ზე 650 ლარიანი სესხის პირობებში სესხის გადავადების საფასური 7 დღეზე 49 ლარს, 14 დღეზე 74 ლარს, ხოლო 30 დღეზე 124 ლარს შეადგენს. როგორც BPN-თან საუბრისას ვივუს.გე-ში განაცხადეს, თუ მომხმარებელი ვერ მოარხეერხებს სესხის დაფარვას და ვერც სესხის გადავადების საფასურს გადაიხდის, ყოველდღიური ჯარიმა დაეკისრება - შესატანი თანხის 1%-ის ოდენობით. 90 დღის შემდეგ კი აღნიშნული სესხი გადაეცემა კერძო იურიდიულ კომპანიებს, რომლებიც სესხის ამოღებაზე მუშაობენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია “ საზოგადოება და ბანკების” თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების ბუმს ქვეყანაში ფულზე მაღალი მოთხოვნით ხსნის.

“ზოგადად მაღალია ფულზე მოთხოვნა, შესაბამისად პირველი შესაძლებლობა არის ბანკები ფულის სასესხებლად, თუმცა გარკვეული შეზღუდვებია ბანკიდან სესხის ასაღებად. ბანკებისგან განსხვავებით, გამოჩნდნენ ეს კომპანიები, რომლებიც მაღალი საპროცენტო განაკვეთით, მაგრამ ნაკლები ბიუროკრატიით და მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე გვაძლევენ სესხს. მსოფლიო პრაქტიკაც ასეთია - სწრაფ სესხებზე საკმოდ მაღალია საპროცენტო განაკვეთი. ეს არის რეალურად სესხი ხელფასამდე. ასეთი ონლაინსესხები პირველად ბრიტანეთში გაჩნდა და მსგავსი კომპანიების არსებობა აპრობირებულია სხვა ქვეყნებშიც და ეს არ არის ქართული გამოგონება. ზოგადად, ასეთ სესხებზე მაღალი განაკვეთია, რადგან თავის მხრივ, ამ კომპანიებსაც გააჩნიათ მაღალი რისკი, როდესაც მხოლოდ პირადობის საფუძველზე გასცემენ სესხებს. შესაბამისად, ეს არის მაღალი რისკის მქონე სესხი და გამსესხებელი ამ რისკს აზღვევს მაღალი საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით,” - აცხადებს კეპულაძე.

ექსპერტი საბანკო და საფინანსო საკითხებში, ლია ელიავა მიიჩნევს, რომ ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობა ამოვარდნილია საქართველოს კანონმდებლობიდან და საჭიროებს კონტროლს ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციებიდან.

“ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობას სჭირდება სასწრაფო რეგულირება და მათი ქცევა კანონმდებლობის ფარგლებში უნდა ჯდებოდეს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის ხალხი, ვინც იძლევა სესხს ინტერნეტით და იხდიან თუ არა ისინი ბიუჯეტში გადასახადებს იმ უზარმაზარ საპროცენტო შემოსავალზე, რომელსაც იღებენ მსესხებლებისგან. რაც შეეხება სესხის მაღალ საპროცენტო განაკვეთს, საუბედუროდ მოსახლეობა არ არის დაცული საფინანსო სექტორის მტაცებლური მადისგან და გაჭირვებულ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ცდუნება, პრობლემები მოიგვაროს მცირე ხნით და მზად არის ყველა პირობას დათანხმდეს. სახელმწიფოს ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას, როგორც ბიზნესმენების უფლებები, ასევე დაიცვას თავისი მოსახლეობის უფლებები. სამწუხაროდ, მოსახლეობის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში არის ძალიან მძიმე მდგომარეობა. ფინანსური მომსახურების მომხმარებელი აბსოლუტურად არ არის დაცული განსხვავებით ევროკავშირის ქვეყნებისგან, რომელთანაც ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, სადაც არსებობს სპეციალური სიღრმისეული და საკმაოდ ფართო კანონმდებლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის თაობაზე. იმედი მაქვს, მომავალში ხელისუფლებას ექნება ნება, მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპულ კანონმდებლობასთან და ამ საკითხსაც აუცილებლად მიხედავს, რათა დაცული იყოს მოსახლეობის სამომხმარებლო უფლებები. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას თავისი ღარიბი მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბება და გაღატაკება. იმიტომ რომ, ეს ძალიან მძიმე სოციალურ შედეგს გამოიწვევს, “ - აცხადებს ლია ელიავა.

როცა ადამიანმა თავისი საქმე იცის და უყვარს

ორიოდე თვის წინ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ინტენსიურად ქვეყნდებოდა ერთი განცხადება, რომელიც მოსახლეობას აუწყებდა, რომ ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №55-ში გაიხსნა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მასაჟის კაბინეტი. კაბინეტი მოქალაქეებს მრავალმხრივ მომსახურეობას ჰპირდებოდა. ჩვენ დავინტერესდით, გამოიღო თუ არა შედეგი ჩვენთან დაბეჭდილმა ინფორმაციამ და აღნიშნულ კაბინეტს ვესტუმრეთ. არც იფიქრებთ, რომ გადააბიჯებთ თუ არა კაბინეტის კარს, წარმოუდგენლად სასიამოვნო გარემოში მოხვდებით:– თანამედროვე დიზაინით გაწყობილ არცთუ დიდ დარბაზში სიმშვიდე და კომფორტია. კაბინეტის მფლობელი ტატიანა თიბილაშვილი-ლატენკო ღიმილიანი და ხალისიანი დიასახლისია. ის თავის დასთან - ლენა ლატენკოსთან ერთად უძღვება ამ კაბინეტის საქმიანობას. ის, რომ ორივე პროფესონალი მასაჟისტები არიან, კედელზე თვალსაჩინოდ გამოკრული დოკუმენტები ადასტურებს. ტატიანას იურისტობა სურდა, უნივერსიტეტში შესაბამისი ფაკულტეტის კურსზე სწავლობდა, მაგრამ... სიყვარულო ძალსა შენსაო და ბოლოს მასაჟისტის წითელი დიპლომი შერჩა ხელთ. ლენა პროფესიით ვეტერინარია, მაგრამ კვალიფიციური მასაჟისტის სერთიფიკატით უფრო იწონებს თავს. ალბათ, დაგაინტერესებთ, ვინ არიან ეს ქალბატონები და როგორ მოხვდნენ ჩვენს ქალაქში სამუშაოდ. ისინი ყაზახეთის ქ. კუსტანაში დაიბადნენ და გაიზარდნენ. ტატიანა დედოფლისწყაროელების რძალია. მისი მამამთილი ალბერტ თიბილაშვილი, სამშენებლო ბრიგადასთან ერთად, ქ. კუსტანაში მუშაობდა. მისმა ვაჟმა – მამუკამ, სამხედრო სავალდებულო სამსხური რომ დაამთავრა, მამის სანახავად კუსტანაში ჩავიდა. 1985 წლის სექტემბერი იყო. მამუკამ და ტატიანამ 22 სექტემბერს ერთმანეთი გაიცნეს, მიხვდნენ, რომ „ის ის იყო“ და 3 დღის შემდეგ მმაჩის ბიუროს მიადგნენ, ყოველგვარი ვადების დაცვის გარეშე, დაჩქარებული წესით, ხელი მოაწერეს და 30 სექტემბერს ისინი უკვე დედოფლისწყაროში იყვნენ. მაშინ ტატიანა 18 წლის მეოცნებე გოგონა გახლდათ და სულაც არ უფიქრია, უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხთან როგორ იცხოვრებდა. სამაგიეროდ დედამ გაიხმო ცალკე, კოფთის კიდეზე ფული მიუმაგრა და დამოძღვრა: – თუ გაგიჭირდა შეგუება, ამ ფულით უკან დასაბრუნებელი ბილეთი იყიდეო. არ დასჭირვებია. მართალია, დედამთილს პირველად დიდად არ ეჭაშნიკა უცხო გვარტომის რძალი, მაგრამ ტატიანა ისეთი თბილი, ყურადღებიანი და შრომისმოყვარე გამოდგა, ოჯახმა მალე შეითვისა და შეიყვარა იგი. მერე ვიაჩესლავი და ეკა დაიბადნენ. ქართული ენის სრულყოფილად სწავლა გარდაუვალი

ტატიანა ლატენკო – თიბილაშვილი მუშაობის პროცესში.

გახდა და ტატიანა მცდელობას არ აკლებდა, ზუსტად გაეგო, რას ითხოვდნენ მისგან შვილები. მოულოდნელად ტატიანას დედა ავად გახდა, ლოგინს მიეჯაჭვა და... იძულებული გახდნენ, კუსტანაში დაბრუნებულიყვნენ. სწორედ იქ გაუჩნდა მამუკა თიბილაშვილს აზრი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „კავკასიონი“ დაეარსებინა. ფირმა მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა: ჰყავდა სამშენებლო ბრიგადა, აწარმოებდა მწვანე ბალახის პროდუქციას, საქართველოდან სხვადასხვა მარკის ღვინო ჩაჰქონდა, ერთი სიტყვით, ყოჩაღობდა და საქმეც კარგად მისდიოდა. ტატიანამ იურისტობა გადაიფიქრა და მასაჟისტობამ გაიტაცა. შესაბამისი განათლებაც მიიღო სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე მოქმედ სასწავლებელში და საუკეთესო სამასაჟო კაბინეტიც გააკეთა. მიუხედავად სიშორისა, მათ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ მშობლები. განსაკუთრებით ტატიანა ჩამოდიოდა ინტენსიურად და მეურვეობდა მათ. დრო მიდიოდა, შვილები გაიზარდნენ, ვიაჩესლავმა ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, დაოჯახდა და 6 წლის გიორგიც ჰყავს. ეკამ დედას ქალიშვილობის ოცნება აუსრულა:- ის იურისტია და საკმაოდ წარმატებულიც. ქართულს ოჯახის ყველა წევრი ფლობს (მეტ-ნაკლებად), მაგრამ ვიაჩესლავს, გამართულ საუბართან ერთად წერა -კითხვაც თავისუფლად შეუძლია.

- ადრე უკეთ ვიცოდი ქართული, მაგრამ კუსტანაში ცხოვრების დროს ნაწილობრივ დამავიწყდა ახლა ჩვენი მეგობარი და ამ შენობის მფლობელი ქეთინო ნანობაშვილი მამეცადინებს, წერა-კითხვასაც თავიდან ვსწავლობ,-მეუბნება ტატიანა და პირველი კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოს და ხაზებიან რვეულს მაჩვენებს, სადაც მიუჩვეველი ხელით, მაგრამ აშკარა მონდომებით გამოყვანილია: „აი ია“, „თოხი“, „საათი“ და ასე შემდეგ.

- ჩემი მეუღლე და შვილები დროებით კუსტანაში არიან. მალე ჩამოვლენ. ახლა ჩემთან მხოლოდ შვილიშვილი გიორგია, რომელიც დაბადებიდან ქართველია. ფეხი აიდგა თუ არა, ფეხის წვერებზე დაიწყო სიარული. ქართული ცეკვის ნიჭი აქვს, გენი არ ასვენებს. აქ ქართული ცეკვის ანსამბლში მივიყვანე. მშვენივრად ცეკვავს და ბედნიერია. კუსტანაში ყოფნის დროს მუდამ მქონდა დედოფლისწყაროს ნოსტალგია. მე აქაურობა ძალიან მომწონს და მიყვარს. ჰავაც უკეთესია და, რაც მთავარია, გარემოა ქრისტიანული, რაც ჩემს სულს, მუსულმანური სამყაროს მერე, ძალიან ესალბუნება. მორწმუნე ქრისტიანი ვარ, ეკლესიაშიც დავდივარ და ჩამოსვლისთანავე მცხეთაში ყველა ეკლესიაც მოვილოცე. არსად წასვლას აღარ ვაპირებ. იმედია, საქართველოს ყველა ეკლესიის მონახულებას და მოლოცვას მოვახერხებ, რადგან ჯერ მხოლოდ 48 წლის ვარ და დიდხანს და ჯანმრთელ ცხოვრებას ვაპირებ. ახლა ერთი პრობლემა მაქვს: საქართველოს მოქალაქეობაზე პირველ ეტაპზე უარი მითხრეს. ძალიან მეწყინა. მე გულწრფელად მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, ჩემი ოჯახი. ამ საკითხზე პატრიარქსაც შევხვდი. მან დახმარება აღმითქვა. მალე ჩემი მეუღლე ჩამოვა, აღიდგენს საქართველოს მოქალაქობას და მეც, ქორწინების მოწმობის საფუძველზე, არ გამიჭირდება ამ საკითხის მოგვარება,-გვიყვება თავის ამბებს ტატიანა.

- რაც შეეხება თქვენს საქმიანობას, მაინტერესებს, წაგადგათ თუ არა გაზეთში გაკეთებული განცხადებები კლიენტის მოზიდვაში, კმაყოფილი ხართ?

- მე არც მეგონა, თუ ამ პატარა რეკლამით ასეთ შედეგს მივიღებდით. ხალხი გვაკითხავს. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენთან ფასები მინიმალურია. ამ საქმით გამდიდრებას ჩვენ არ ვაპირებთ. მეც და ჩემს დასაც, რომელიც ჩემთან ერთად ჩამოვიდა დედოფლისწყაროში და აქ დამკვიდრებას აპირებს შვილებთან ერთად, ეს საქმე გვიყვარს და გამოგვდის კიდეც, რადგან მარტო მილებული ცოდნა და გამოცდილება კი არა, ამ საქმის სიყვარული გენეტიკურადაც მოგვდევს–დედაჩემი ციმბირელი ქალი იყო, ბებიაჩემმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ხალხური მედიცინა. მასთან სტუმრად ყოფნისას ის ბევრ რამეს გვასწავლიდა. ამიტომ ჯანმრთელობის და ახალგაზრდობის შენარჩუნების ბევრი საიდუმლო ვიცი, რომელსაც ჩემს პაციენტებს ვახმარ.

-კონკრეტულად რა სახის მომსახურებას ეწევით?

-ჩვენთან შეიძლება ჩაიტარონ მკურნალობა ნევროლოგიურ დაავადებებზე, ოსტეოქონდროზზე, აღიდგინონ ინსულტის, ინფარქტის და მოტეხილობის დროს მილებული დეფექტები, ჩაიტარონ საერთო გამაჯანსაღებელი და გასახდომი მასაჟები, გაციების დროს საუკეთესოა თაფლის მასაჟები, რომელიც, ასევე, ხსნის ფორებს, აუმჯობესებს კანის სუნთქვას და, შესაბამისად, სისხლის მიმოქცევას. იშვიათი შედეგები აქვს ვაკუმურ მასაჟს, რომელიც ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული და დღეს მივიწყებულია. ეს ის უძველესი მეთოდია, რომელსაც „ბანკების მოკიდებას“ ეძახდნენ. მე მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი უძლიერესი მეთოდია სისხლის მიმოქცევის დარეგულირების, კანის გაახალგაზრდავების და, საერთოდ, ფიზიკური გაჯანსაღების თვალსაზრისით. ჩვენ შეგვიძლია, დავეხმაროთ ბავშვებს სქოლიოზის პირველ სტადიაში, ასევე ბრტყელტერფიანობის დროს. საერთოდ, ქალაქში ძალიან ბევრი ბავშვია ფეხების პრობლემებით, რასაც დასაწყისშივე უნდა მიაქციოს მშობელმა ყურადღება, რომ შემდგომში ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემად არ ექცეს მოზარდს. თინეიჯერებს მინდა ვუთხრა, რომ ჩვენთან ხდება ყურის უმტკივნეულოდ გახვრეტა პისტოლეტით, ვატარებთ ვარჯიშებს და მასაჟებს წონის კორექტირების კუთხით. საერთოდ, მეც და ჩემს დასაც, ბუნებით ბიოდენები დაგვყვა, რაც უფრო მეტ შესაძლებლობებს გვაძლევს, ეფექტური იყოს ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოები.

- ემსახურებით თუ არა პაციენტებს ბინაზე?

- არა, ჯერ-ჯერობით არა, რადგან, ჩემი პრაქტიკული დაკვირვებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ადგილზე მისულ მასაჟისტს პაციენტი აღიქვამს დაქირავებულ პირად, რომელმაც ის უნდა გააკეთოს, რაც მას მოეწონება, ფიქრობს, რომ ის გასამრჯელოს გულისათვის მასთან მიდის, ხოლო კაბინეტში მოსვლის შემთხვევაში, ის თავს გრძნობს როგორც ავადმყოფი, რომელიც უნდა დაემორჩილოს მკურნალის ყოველგვარ მოთხოვნილებას. ამიტომ, შედეგს კაბინეტში მკურნალობისას უფრო მალე ვიღებთ. ჩვენთან მოსვლა ძნელი არ არის, ყველა მხრიდან ქალაქის ცენტრში ვართ.

-მომავალში გაფართოებას ხომ არ გეგმავთ?

- აუცილებლად. მე შემეძლო ქმრის კმაყოფაზე სახლში ნებივრად ვმჯდარიყავი, მაგრამ არ შემიძლია უმოქმედობა. მე მიყვარს ეს საქმე და მინდა ბოლომდე დავიხარჯო, ხალხს რაიმე სიკეთე მოვუტანო. ზემოთაც გითხარით, მე ამ საქმიანობით გამდიდრებას არ ვაპირებ, სხვაც ბევრი რამის კეთება შეუძლია ჩვენს ფირმას „კავკასიონი“. ჩამოვა ჩემი მეუღლე და შვილები და სხვა დანარჩენს ისინი მიხედავენ. მე კი მინდა, უფრო დიდი და ფართო პროფილის სპა-სალონი გავაკეთო ორთქლის და წყლის მასაჟებით და ბევრი სხვა სიკეთით, რომელიც ამ ქალაქის მაცხოვრებლებს აკლიათ. ოცდამეერთე საუკუნეა, გარემო დაბინძურებულია, გლობალური პრობლემები აწუხებს ადამიანებს, დაავადებათა რაოდენობა მატულობს და ახალგაზრდავდება, სამაგიეროდ ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებიც ბევრია. ჩვენთან უნდა ისწავლოს ადამიანმა თავის მოვლა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ისე, როგორც საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებშია. იმედი მაქვს, ქვეყნის ეკონომიკური კუთხით არსებული პრობლემებიც მოგვარდება და ხალხს საშუალება მიეცემა, ელემენტალური სურვილები დაიკმაყოფილოს. დღეის მდგომარეპობით კი, ჩვენთან ფასები ძალიან დაბალია, მინიმალური, რათა იყოს თანაფარდობა ხალხის შესაძლებლობებსა და სურვილს შორის

ძვირფასო თანამოქალაქენო, ისღა დაგვრჩენია, გირჩიოთ, ისარგებლოთ სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კაბინეტის სიკეთით, გაიხანგრძლივოთ და გაილამაზოთ ცხოვრება.

ნაირა გორაშვილი

აქ გამოფენილია მრავალი სამკურნალო ბალახის ნაყენი და ზეთი, რომელსაც მასაჟის დროს იყენებენ

ეს ყულაბა „ბაყაყი“ ტატიანას თბილისმას წარმოადგენს, რომელიც მას ვადლიერებს ნიშნად ჩინელმა პაციენტმა აჩუქა და ბარაქის სიმბოლოს წარმოადგენს

კლარა ოზაშვილი, რუსუდან, ლალი, ალეკო, გუგული ალადაშვილები, ნიკო თულაშვილი ოჯახებით, თანაგრძნობას უცხადებენ ელისო და ნიკო კოკილაშვილების ოჯახს დედის

ეკატერინე (კატუშა) ლაპიაშვილ-კოკილაშვილის

გარდაცვალების გამო.

მედიკო მჭედლიშვილი, მარინა სონღულაშვილი, ლეილა გულაშვილი, გელა გველუკაშვილი, გოჩა ნატროშვილი, ჭაბუკა ალუღიშვილი, რაია ბაცაცაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ელისო და ნიკო კოკილაშვილებს დედის

კატუშას

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ყოფილი რაიონული ვეტერინალური ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან

ეკატერინე კოკილაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეგიონებში კინოს განვითარება დაიწყო

საქართველოში რეგიონული კინოს ასოციაცია შეიქმნა, რომელმაც მუნიციპალური კინოთეატრებისა და კინოკლუბების შესახებ საინფორმაციო კამპანია წამოიწყო. კამპანია ხორციელდება რეგიონებში კინოკლუბებისა და კინოთეატრების შექმნის იდეის წასახალისებლად.

კინომცოდნეები, რეჟისორები და ცნობილი სახეები საუბრობენ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს მასშტაბით მსგავსი კულტურული ცენტრების შექმნას. თითეული მათგანი ძალიან საინტერესოდ განიხილავს საკითხს. ისინი გვიხსნიან, თუ რით არის საინტერესო ეს ფორმატი და რა სიახლე შეიძლება შეიტანოს რეგიონებში კინოსივრცეების გაჩენამ სხვა არსებული კულტურული დაწესებულებებისგან განსხვავებით.

დედოფლისწყაროში კინოკლუბის გახსნის მოწოდება ცნობილ ჟურნალისტს და ტელე-წამყვანს, ნინო დარასელს ხვდა წილად. როგორც დარასელმა „შირაქს“ განუცხადა, კამპანიაში ჩართვა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თორნიკე ადამაშვილმა სთხოვა და სიამოვნებით დათანხმდა.

„რეგიონული კინოს ასოციაცია“ ზაფხულის განმავლობაში საქართველოს მუნიციპალიტეტებში გეგმავს ფილმების ჩვენებას ღია ცის ქვეშ.

„სამი დღის მანძილზე თითო ქალაქში ნაჩვენები იქნება ქართული, ფრანგული და გერმანული ფილმები. ასევე ვისაუბრებთ მუნიციპალური კინოთეატრების განვითარების პერსპექტივებზე. საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა გადმოგვცა დიდი ზომის გასაბერი ეკრანი, ასევე გვაქვს “სამოქალაქო ინიციატივის” პროექტორი. რეგიონის მუნიციპალიტეტები მზად არიან, შეძლებისდაგვარად, დაგვეხმარონ ადგილზე ორგანიზებაში. მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა სპონსორებთან (საჭიროა ტრანსპორტირებისა და სხვა საორგანიზაციო თანხები, რომლებსაც მუნიციპალიტეტები ვერ ფარავენ) იმედი გვაქვს, დაინტერესდებიან სხვა ორგანიზაციებიც და რაც მთავარია, თქვენი მხარდაჭერის,“ — აცხადებენ ასოციაციაში.

პროგრამა ხორციელდება „რეგიონული კინოს ასოციაციის“ მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების” (G-PAC) ფარგლებში.

ამას გარდა, 9 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა ქართული კინოს განვითარების ხელშემწყობი კომისიის სამუშაო შეხვედრა კინემატოგრაფისტებთან. შეხვედრაზე „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ და სს „ქართული ფილმის“ დირექტორი კომისიის წევრებს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ განვლილ ეტაპებსა და სტრატეგიულ ხედვაზე ესაუბრა. კინოწარმოების განვითარების გზების შესახებ საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს შპს „ქართული კინოს განვითარების

კინო აპატარურა კულტურის სამინისტრომ დედოფლისწყაროსაც გადასცა

ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმაც - რამაზ (ბუბა) ხოტივარმა და ოთარ ლითანიშვილმა. „ქართული ფილმის“ თანამშრომლების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ადმინისტრაციისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა საინიციატივო ჯგუფის სახელით კინოსტუდია ქართული ფილმის სტრუქტურულ ცვლილებაზე თავისი ხედვა კომისიას მაია არეშიძემ გააცნო.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №1102 განკარგულების თანახმად, შეიქმნა ქართული კინოს განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომლის ძირითადი ამოცანა ქართული კინოს განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაა. კომისიის მიერ შემუშავებული გეგმის მთავარი პრიორიტეტი ქართული კინოს განვითარების ხელშეწყობა, ეროვნულ დონეზე კინოსექტორის გაძლიერება და საერთაშორისო ასპარეზზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა. სწორედ ამიტომ, კომისიას მნიშვნელოვნად მიაჩნია, კინოსექტორის წარმომადგენლებთან ფართო კონსულტაციების გამართვა, კინოინდუსტრიაში არსებულ პრობლემებზე მსჯელობა, ეროვნული კინოს განვითარების თაობაზე ახალი წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვა, ამასთან, ქართულ და მსოფლიოს კინოინდუსტრიაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარების გზით ქართული კინოს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება; ქართული კინოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებზე კონკრეტული წინადადებების შემუშავება; შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების მიზნით წინადადებების შემუშავება.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამგვარი შეხვედრა კინემატოგრაფისტებთან ქართულ კინოწარმოებაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით მომავალშიც გაიმართება. კომისია მზად არის ქართული კინოს სამომავლო განვითარების შესახებ კინოორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების ინიციატივები და წინადადებებიც განიხილოს.

ცნობილია, რომ კულტურის სამინისტრომ კინო აპარატურა საჩუქრად დედოფლისწყაროსაც გადასცა. კინო სეანსების დაწყება დედოფლისწყაროში უახლოეს მომავალში იგეგმება.

ილია მარტყოფლიშვილი

გასწორება

გაზეთ „შირაქის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ხალხი სასოწარკვეთილია, მოსავალმა არ გაამართლა“, სადაც გაიპარა მცირე უზუსტობა, კერძოდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის კომენტარში. სტატიაში რესპოდენტი ამბობს, რომ ფერმერების ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც მიწაზე ქონების გადასახადის გაუქმებას ეხება, არავითარ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდება. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით, კატეგორიული ტონი და გამორიცხვის ლოგიკით მსჯელობა ამ ეტაპზე მისთვის მიუღებელია, რადგან ფერმერთა დახმარების კონკრეტული ფორმა ამ დროისთვის გადაწყვეტილი არაა. გთავაზობთ მის კომენტარს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი:“ადგილობრივი ხელმძღვანელობა ძალიან წუხს იმის გამო, რომ წელს ხორბლის საკმაოდ მცირე მოსავალია. პრობლემას ძირფესვიანად ვიცნობ და ჩემს გუნდთან ერთად ვცდილობ, გამოსავალი ვიპოვო. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შვხვდი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებს, ჩავაყენე ისინი საქმის კურსში და მიმდინარეობს კონსულტაციები სამთავრობო დონეზე. განიხილება ფერმერთა დახმარების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის მიწაზე ქონების გადასახადისგან გათავისუფლება.“

ულოცავენ!
ქეთი ქუუტაშვილს!

ჩვენო სიხარულო და სიყვარულო, ჩვენო იმედო, ქეთი, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას,ყველაფერს კარგსა და ლამაზს. წარმატებებს ცხოვრებაში, ბედნიერი და სასახელო გოგო გამოსულიყავი.ვისურვებდით შენი ყველა ჩანაფიქრის განხორციელებას.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

დიდი სიყვარულით, შენი ბებოები:
იზო და ზოია გონაშვილები.

ეს საინტერესოა

ქალაქ სანტ-ლუისში მეხანძრეებს ეკრძალებათ არა მარტო შიშველი ქალბატონების, არამედ ხალათში ან ღამის პერანგში ჩაცმული მანდილოსნების გადარჩენაც;

კენტუკის შტატში დანაშაულად ითვლება ლურჯად გადაღებილი იხვის ჭუკების გაყიდვა, თუ მათი რაოდენობა 6-ზე ნაკლებია;

კალიფორნიაშია დაწესებული სიჩქარის ლიმიტი მძღოლის გარეშე მოძრავ ავტომობილებზე: მათი სიჩქარე საათში 60 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს;

კალიფორნიაში აკრძალულია მოძრავი ავტომობილიდან ნებისმიერი ცხოველისათვის ტყვიის დაშენა. აქვე გამონაკლისიც: თუ მანქანით მისეირნობთ და სადმე ვეშაპი შენიშნეთ, ესროლეთ რამდენიც გინდათ;

კალიფორნიაში იკრძალება სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს ტირილი;

ინდიანას შტატში ოქტომბრის თვიდან აპრილამდე აკრძალულია აბაზანაში ბანაობა, ღვინის მაღაზიაში რძის გაყიდვა;

ირლანდიაში ვინც განაცხადებს, რომ რამე ზებუნებრივ ძალას ან საიდუმლოს ფლობს, 1 წელი დასვენებენ ციხეში;

დანიის ციხეებიდან გაქცევა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად არ ითვლება;

დიდ ბრიტანეთში ასევე იკრძალება: საწოლის ფანჯარაზე ჩამოკიდება, 25 დეკემბერს ტკბილი ღვეზელის ჭამა და თავის ჩელსელ პენსიონერად გასაღება;

საფრანგეთში ცხოველზე ნაპოლეონის დარქმევა კანონით ისჯება;

ნორვეგიაში ძუნა ძაღლებისა და ხვადი კატების სტერილიზაცია კანონითაა აკრძალული, ხოლო მათი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების – არა;

კვირა საღამოს შარვლით გამოჩენაც დიდი დანაშაულია, ხოლო Baghton Beach-პლაჟზე ისეთი საცურაო კოსტუმი უნდა გეცვათ, რომელიც ტანს კისრიდან მუხლამდე დაგიფარავთ;

შოტლანდიაში აკრძალულია დათრობა, თუ თან ძროხა გახლავთ;

ქალაქ ტორონტოში (კანადა), ჲონგ-ის ქუჩაზე აკრძალულია კვირა დღეს ცხენის ლეშის გადათრევა;

იცით თუ არა რომ, თურმე ბელურას უფრო მეტი კისრის მალა ჰქონია, ვიდრე ჟირაფს.

ზეთი „ქარვა“ აცხადებს ვაკანსიებს ლაბორანტის და მებაღის პოზიციაზე დედოფლისწყაროში

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 14.07		სამშაბათი 15.07		ოთხშაბათი 16.07		ხუთშაბათი 17.07		პარასკევი 18.07		შაბათი 19.07		კვირა 20.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
27 °	21 °	28 °	23 °	29 °	22 °	30 °	24 °	32 °	23 °	29 °	21 °	27 °	22 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K